ის საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი პლენუმი

ი. კულიკ
მუშა

ფასი 20 კაპ.

სალიტერატურო გაზეთი

1933
11 იანვარი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გაზეთი

№ 1 (28)

F 166 № 253

მთლიანობის შექმნის დემონსტრაცია

საკავშირო ორგკომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ

ამხ. ი. კულიკის მოხსენება საქ. საბჭოთა მწერლების პლენუმზე

ამხანაგებო,—იწყებს მომხსენებელი,—ვასრულებ რა საპატიო დავალებას, საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მხურვალედ მოგესალმებით როგორც საკავშირო საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს, მოხარული ვარ რომ ჩემი მდგომარეობა საშუალებას მაძლევს ამას დაურთო მხურვალე ძმური სალამი უკრაინის რესპუბლიკის მწერალთა საორგანიზაციო კომიტეტის და საბჭოთა მწერლების მთელი რაზმის სახელით (მქუხარე ტაში).

ამ მისალმების შემდეგ ამხ. კულიკი გადადის მოხსენების ძირითად საკითხებზე.

საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის პირველი პლენუმის მნიშვნელობა იმაში კი არ არის, რომ პლენუმმა თითქოს აღმოაჩინა რაიმე ახალი ჭეშმარიტება, მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პლენუმი წარმოადგენდა საკ. კ.პ. (ბ)-ის პოლიტიკის სისწორის მრავალმეტყველ მთლიან დემონსტრაციას, პლენუმმა პრაქტიკით დაამტკიცა, თუ რამდენად სწორი, ბრძნული, დროული, პრაქტიკული სინამდვილით გამოწვეული იყო 23 აპრილის დადგენილება. პლენუმის მნიშვნელობა გამართლებული იყო იმ მუშაობით, რომელიც ჩაატარეს საკავშირო და რესპუბლიკანურ საორგანიზაციო კომიტეტებმა ც. კ-ს დადგენილების შესასრულებლად. პლენუმის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იქ ჩვენ გვქონდა ფართო დიაპაზონი ფადეევიდან პრიშვინამდე, ავერბახიდან ანდრეი ბელამდე, ჩუმანდრინიდან ბორის პილნიაკამდე. პლენუმზე გამოსული მწერლები მიუხედავად იმისა, თუ რა ჯგუფებს ეკუთვნოდენ ისინი წინათ, ერთი ხმით, ერთი გრძნობით მიესალმენ ც. კ-ის დადგენილებას. ყველა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს დადგენილება წარმოადგენს ძირითად პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, შემოქმედებით პლატფორმას, რომლის გარშემო შეუძლიათ გაერთიანდენ და ერთიან დებიან კიდეც დიდ საბჭოთა ლიტერატურის ყველა საუკეთესო ძალები.

პლენუმზე, რასაკვირველია, იყო ბევრი კრიტიკა და მწვავე კრიტიკაც. „რაპპ"-ის და „ვოაპპ"-ის ყოფილ ხელმძღვანელებს მოუხდათ პლენუმზე ბევრი მწარე სიტყვების და არა ნაკლებ მწარე ჭეშმარიტებათა მოსმენა. პრიშვინმა და პილნიაკმა გააკრიტიკეს თუ რა მკაცრად „რაპპ"-ის წინანდელი ხელმძღვანელობის მუშაობა, აღნიშნეს, რომ იქ ხშირათ ნამდვილ ლიტერატურას სუროგატი სცვლიდა. მეორე მხრით პილნიაკმა აღიარა, თუ რამდენად სცდებოდა იგი როცა საჭიროდ არ სთვლიდა პროლეტარიატის მარქსისტული მსოფლმხედველობის შეთვისებას. ხოლო პრიშვინმა წამოაყენა მწერალთა შორის თანასიხარულის (სორადოვანიე) ლოზუნგი და ამ ლოზუნგით მიმართა მან გუშინდელ მოწინააღმდეგეს. პანტ. რომანოვმა განაცხადა, რომ ოცნებობს მოკვდეს კომუნიზმისათვის. განა შეიძლება ამაზე უფრო ნათელი დემონსტრაცია იმ გრძნობის, რომელმაც მოიცვა პლენუმის მონაწილენი?

ერთგვარი პრეტენზია შეიძლება წავუყენოთ „რაპპ"-ის ყოფილ ხელმძღვანელებს —ავერბახის და კირშონის გამოსვლას. ამხ. ავერბახის სიტყვა, რომელიც შეიცავდა „რაპპ"-ის შეცდომების და თავის საკუთარ შეცდომების კრიტიკას, იყო რამოდენიმედ აბსტრაქტული იმ ნაწილში, რომელიც ლიტერატურის შემდგომი განვითარების გეგმას შეეხებოდა. იგი ლაპარაკობდა ფორმალურად, აბსტრაქტულად, არ ემყარებოდა ჩვენს კონკრეტულ გამოცდილებას, კონკრეტულ ლიტერატურულ ფაქტებს. მისი გამოსვლის ტონი იყო ტონი ბელადისა, რომელიც არ ინანიებს თავის შეცდომებს. ეს ტონი არ გაიზიარა კირშონმაც კი, რომელმაც თავის მხრივ ერთგვარი მედიდურობა გამოიჩინა პლენუმისადმი. მიუხედავად ამისა, მათმა გამოსვლამ ცხადჰყო, რომ ჩვენ შევძლებთ მათთან ერთად მუშაობას საერთო ამოცანების გადასაჭრელად. პლენუმის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა ის არის, რომ ამხანაგები, რომლებიც წინათ ერთ რომელიმე ჯგუფს ეკუთვნოდენ ერთის საერთო შეცდომებს ჩადიოდენ, და 23 აპრილის დადგენილების შემდეგაც ლამობდენ შეენახათ თავისი ჯგუფი, პლენუმზე გამოვიდნენ ჯგუფობრიობის სასტიკი კრიტიკით და ერთი მეორის შეცდომების მხილებით. მათი კრიტიკა მოწმობდა იმას, რომ ისინი სტოვებდენ ძველ პოზიციებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლო მოეღო ჯგუფობრიობას. ასეთი დასკვნა შეუწყნარებელი ოპტიმიზმი იქნებოდა. ეს ნიშნავს იმას, რომ ც. კ-ის დადგენილება აერთიანებს საბჭოთა მწერლებს და ქმნის პირობებს ამხანაგური თანამშრომლობისათვის.

წინანდელ პოზიციებზე

ერთგვარ დისონანსად გაისმა პლენუმზე ვასილ კატაევის და ზოგიერთ „პერევალ"-ელების გამოსვლა. ისინი ამტკიცებდენ, რომ ვერ გავიგეთ ც. კ. დადგენილების დედა აზრიო და ისევ საჭიროდ სცნობდენ თავის წინანდელ პოზიციებზე დარჩენას. ამით მათ ცხადჰყვეს, რომ ჯერ არ დაუყრიათ იარაღი. პირიქით, ის პოზიციები, რომლებსაც წინათ თვითონვე შემცდარად სთვლიდნენ, სცადეს ისევ აღედგინათ. ჩასთვალეს რა ც. კ-ის დადგენილება ამ პოზიციების ერთგვარ საფარად.

უფრო მკვეთრ დისონანსად გაისმა სერგეი კლიჩკოვის გამოსვლა. მან ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა თითქოს აკლდამიდან ლაპარაკობს დაყუდებული ბერი, რომელსაც ეშინია გაცდეს თავის ვიწრო რკალს და მიუახლოვდეს ცხოვრებას. კლიჩკოვს მიუთითეს მის შემცდარ პოზიციებზე, მაგრამ არსებითად იგი რჩება, ისეთივე როგორიც იყო. ჩვენ საკმაოდ ძლიერნი ვართ იმისათვის, რომ მივსცეთ კლიჩკოვსა და მის მსგავს მწერლებს საშუალება კიდევ ღრმად ჩაუკვირდენ და დაუფიქრდენ თავის პოზიციებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეუმჩნევლად დავსტოვებთ მათ შეცდომებს. შეცდომებისათვის ჩვენ მათ გავაკრიტიკებთ, მაგრამ არ შეუკრავთ გზას საბჭოთა ლიტერატურისაკენ.

დაუშვებელი ოპტიმიზმი იქნებოდა გვემტკიცებია, რომ ყველაფერი კარგათ დამთავრდა, რომ ყველამ სწორად გაიგო ც. კ-ის დადგენილება. ზოგიერთი მწერალი დღესაც ჰფიქრობს, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ აბრა, რომელსაც რაპპ-ის ნაცვლად აწერია ორგკომიტეტი, ან საბჭოთა მწერლების კავშირი, რომ შეიძლება განვაგრძოთ წინანდელი ჯგუფობრიობა რომ შეიძლება გაგრძელდეს წინანდელი შეცდომების ჩადენა და სხვ. ასეთი ინერტიულობა—ძველი მდგომარეობის დაცვის სურვილი, არსებითად გარდაქმნის უგულებელყოფა, ც.კ. დადგენილების ვერ გაგების ერთ-ერთი გამომჟღავნებაა, ეს არის გარდაქმნის მოუნდომებლობა ან უუნარობა. ამ მოვლენას ადგილი აქვს თითქმის ყველა რესპუბლიკებში. მეორე მხრივ იმ პოზიციაზე მდგომმა მწერლებმაც, რომლებსაც ჩვენს ლიტერატურაში სთვლიდენ მემარჯვენე პოზიციებად, არა სწორად გაიგეს ც. კ-ის დადგენილება. ისინი ფიქრობდენ თითქოს უკვე ისპობა კლასობრივი ბრძოლა, თითქოს ძველი ცოდვები მოხსნილია. თითქოს ყველასათვის ცხადდება სრული ამნისტია. რევანშისტების ასეთ განწყობილებებს, ჩვენ ვხვდებით ყველა ჩვენს რესპუბლიკებში.

ბრძოლა კლასობრივი მტრის აგენტურასთან

[illegible] ნებით უეჭველია, მტკიცება არ ენდა წერილი [illegible] ჭეშმარიტებას, რომ კლასი და საბჭოთა ლიტერატურაში არ შენებული ხალისით [illegible] შეიძლება შეწყდეს. ოლეშას დრამის გზა კიდევ უფრო გამ[illegible] ხელისუფლების საქმიანელია კლასობრივად ჰქონდა. მიწიშვილს [illegible] შექ[illegible] პროლეტარულ მწერლობამ ამ კლასობრივ [illegible] საქმიანობის [illegible] შედეგები მტკიცდება, [illegible] ხელი. თანაც დასძენს: [illegible]სობრივად უცხო [illegible] საერთოდ არ არის ზედმიწევნებას [illegible] თქმაა—არა თუ [illegible] მწერლის, მაგრამ ოლეშას დრამ ლიტერატურის გაცალმხრივებული მეთოდ[illegible]ნისტური ფრაქცია გაშუქდება, პირიქით, [illegible] ჩვენი ბრძოლა ყალბად გაგებული [illegible]ლენების წინააღმ[illegible] ბული პოლიტიკის საფუძ[illegible]ი იქნება, რამდენა[illegible] ბული ისტორია მუდამ [illegible] დავხარჯავთ შე[illegible] სოციალისტური საქმიან[illegible]ლაზე: ამასთან ერ[illegible] წარმართავს. პროლეტ[illegible]ხილე და დაკვირვე[illegible] ასოციაციის უხეშ შეც[illegible]ლასობრივ მტრად გა[illegible] ზედმიწევნით [illegible] ავუხსნის საქ[illegible] დადგენ[illegible]

მოვაცხადებდით, ახლო წარსულში ვულგარიზატორული კრიტიკოსები—„ნაპოსტოველთა" და ასეთ მემარცხენე ჯგუფის წარმომადგენელნი არსებითად რყვნიდენ მარქსისტულ ლენინურ კრიტიკის თეორიას, როცა დაუკვირვებლად და დაუფიქრებლივ აცხადებდენ ამა თუ იმ მწერალს ან მწერალთა ამა თუ იმ ჯგუფს კონტრრევოლუციონურად, მენშევიკურად, უკლონისტურად და სხვ. ძნელია ყველა იმ ეპითეტებისა და იარლიყების ჩამოთვლა, რომელთა მიკერებას მწერლებზე აუცილებლად სთვლიდნენ ხოლმე. რისთვის ან ვისთვის იყო ეს საჭირო? მხოლოდ ჩვენი მტრებისათვის, რომლებიც სიხარულს ეძლეოდენ როცა თვით ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის პროლეტარული ორგანოები ამტკიცებდენ, რომ კვალიფიციური ინტელიგენცია, ნიჭიერი მწერლები, შემოქმედების მუშაკნი ღალატობენ საბჭოთა ხელისუფლებას და გადადიან მისი მტრების ბანაკში.

აგური დახმარება საბჭოთა მწერლებს

[illegible] ყოველი ახალი მწე[illegible] კლასობრივ მტრად გამოვაცხადეთ, [illegible] ჰყოფს მხოლოდ უარყოფით პრო[illegible]ხელდობრ იმას, რომ ჩვენ ლიტერა[illegible]ფრონტზე ვკარგავთ ახალ-ახალ ძა[illegible]. ქართულ ლიტ. ასეთი მიდგომით [illegible]საკუთრებით თავი უსახელეს ამხ. ჰ. [illegible]ძის ჯგუფს. მე ვნახე ერთი ქართველ მწერლის წიგნი ამხ. ჰ. ქიქოძის წინასიტყვაობით, სადაც ნათქვამია თითქოს [illegible] იყოს შემცდარი შეხედულებები. თუ ეს ასეა, რად გამოუშვეს ეს წიგნი. თუ ეს ასე არ არის, რა საჭირო იყო ასეთი წინასიტყვაობა.

შემდეგ მომხსენებელს უკრაინული ლიტერატურიდან მოჰყავს დაუფიქრებელი, [illegible], გავულ[illegible]ული, თავაშვე[illegible] როცა კლასობრივ მტრებად, შინაურ ემიგრანტებად აცხადებდენ საბჭოთა მწერლებს უნებლიე შეცდომებისათვის და ხშირად სრულიად უმიზეზოდ.

მიუხედავად ამისა,—ამბობს მომხსენებელი, **მარქსისტულ-ლენინურ** კრიტიკას წარსულში დიდი ღვაწლი მიუძღვის. მან ბრწყინვალე ბრძოლა აწარმოვა ტროცკის კონცეპციის, „ვორონშჩინის", ლიტფრონტის, „პერევერზევშჩინის" და სხვა გადახრების წინააღმდეგ. მაგრამ არც იმ ფაქტის უარყოფა შეიძლება, რომელიც აღნიშნა „პრავდა"-მ, სახელდობრ იმის, რომ კრიტიკა ჩამორჩა მხატვრული ლიტერატურის განვითარებას. ამ ფაქტს ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გავაშალოთ ბრძოლა ჩვენი კრიტიკის დონის ამაღლებისათვის, ჩვენი კრიტიკოსების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მარქსისტულ ლენინური მეთოდის დაუფლებისათვის კრიტიკის დარგში. აქვს გარეშე, რომ მაინც და არა ნაკლებ საზიზღარია სახოტბო კრიტიკა, პირფერი, მლიქვნელი კრიტიკა, რომელიც მწერალს მხოლოდ აქებს და ვერ ამჩნევს მის შეცდომებს. ასეთი მლიქვნელური კრიტიკის წინააღმდეგ ჩვენ დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კრიტიკით ვერ ავღზრდით მათ, ვისი აღზრდაც გვევალება. საჭიროა მეტად ფრთხილი მიდგომა თვითეული მწერლისადმი. თუ ჩვენ საქმე გვაქვს კლასობრივ მტერთან, იგი უნდა გავანადგუროთ, მაგრამ ხშირია შემთხვევა, რომ ჩვენს წინ არის არა კლასობრივი მტერი, არამედ მწერალი, რომელიც დროებით მოჰყვა კლასობრივი მტრის გავლენის ქვეშ, რასაკვირველია მისი კლასობრივი მტრად გამოცხადება სწორი არ იქნება. თუ ასე მოვიქცევით, ამით ჩვენ გამოვიწვევთ მხოლოდ სისუსტეს, პოზიციების დათმობას კლასობრივი მტრისათვის. ჩვენ ვიბრძვით თვითეული შემოქმედებითი ერთეულისათვის, თვითეული მწერლისათვის, რომელსაც შესწევს უნარი შექმნას საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა და თავის შემოქმედებით მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩვენ ასე ადვილად არ უნდა დავუთმოთ მწერლები კლასობრივ მტერს. თუ მწერალი მის გავლენაშია მოქცეული, ფრთხილი დაკვირვებული ამხანაგური მიდგომით ჩვენ უნდა შევაგნებინოთ მას, რომ მოქცეულია მტრის გავლენის ქვეშ და ასეთი გზით შემოვაბრუნოთ იგი ჩვენს გზაზე. თუ ჩვენ ასეთ ტაქტს გამოვიჩენთ, გვექნება სრული შანსები გავიმარჯვოთ კლასობრივ მტერზე. რასაკვირველია, ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ კრიტიკამ შეანელოს თავისი აქტიური საბრძოლო გაბედული ტონი, მაგრამ ამავე დროს მოვითხოვთ მეტ ტაქტს და ამხანაგურ მოპყრობას. შეიძლება გქონდეს ერთგვარი მკაცრი ტონი, მაგრამ, ამავე დროს იყო ტაქტიკურიც, არ გამოაცხადო კაცი კლასობრივი მტრად, თუ იგი ასეთი არ არის. თუ მწერალი მტერი არ არის, არ უნდა ჩავკლათ მასში ენერგია შემდგომი მუშაობისათვის. პირიქით ყოველმა ჩვენმა კრიტიკულმა მითითებამ მას [illegible] მხნეობა და ძალა თავის შემოქმედების გაძლიერებისათვის.

შემდეგ მომხსენებელი უბრუნდება რა პროლეტარული ლიტერატურულ ორგანიზაციების, წარსულ მუშაობას, ამბობს, რომ არ უნდა დავივიწყოთ ის ღვაწლი, რომელიც მათ მიუძღვით ღრმად შემცდარია ის ვინც ფიქრობს ერთიანი საბჭოთა სალიტერატურო ორგანიზაციის შექმნა, საბჭოთა ლიტერატურის მთლიანი ნაკადის შექმნა გულისხმობდეს პროლეტარული ლიტერატურის გაუქმებას. როგორც პროლეტარიატის დიქტატურის მაქსიმალური გაძლიერების გზით ჩვენ მივდივართ უკლასო სოციალისტური საზოგადოებისაკენ, სწორედ ასე პროლეტარული ლიტერატურის მაქსიმალური გაძლიერებით ჩვენ ვქმნით სოციალისტურ ლიტერატურას. საერთოდ არ შეიძლება ერთი მეორეს დაუპირდაპიროთ პროლეტარული და სოციალისტური ლიტერატურა, რადგან პროლეტარული ლიტერატურა არსებითად სოციალისტურია. მაგრამ არ შეიძლება პროლეტარული ლიტერატურის გაიგივება უკლასო საზოგადოების სოციალისტურ ლიტერატურასთან. უკლასო სოციალისტური საზოგადოების ლიტერატურას ექნება გარკვეული ნიშნები, გარკვეული თვისებები, რომელიც ჯერ კიდევ არა აქვს პროლეტარულ ლიტერატურას, ნაწილობრივ ამასთან დაკავშირებით, ნაწილობრივ, იმის გამო, რომ სახელი გაუტეხეს ამ ტერმინებს, ჩვენ უარი ვსთქვით ტერმინ „თანამგზავრზე" და „მოკავშირეზე". ამიტომ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმ მწერლებზე, რომლებიც ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად უახლოვდებიან სოციალისტურ პოზიციებს. საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირის შექმნა სრულიად არ ამცირებს პროლეტარული მწერლების, კომუნისტ მწერლების ხელმძღვანელ როლს. პირიქით ამაღლებს ამ როლს იმით, რომ სპობს ადმინისტრატორობას, ზევიდან ბრძანებლობას და ქმნის პირობებს ნამდვილი იდეიური ხელმძღვანელობისათვის, ეს ქმნის საბჭოთა ლიტერატურის კომუნისტური ფრთისადმი უფრო მეტი ნდობის ატმოსფეროს.

ბრძოლა ხარისხისათვის

როცა ვლაპარაკობთ პროლეტარული ლიტერატურის როლის შესახებ წარსულში, ჩვენ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ მაქსიმ გორკი, რომლის შესახებაც ბევრი რამ ითქვა პლენუმზე. სწორედ მაქსიმ გორკის გამოცდილებაზე დაყრდნობით პროლეტარული ლიტერატურის ახალმა კადრებმა მოიტანეს ლიტერატურაში ნამდვილი ნოვატორობა. ყველაზე უფრო საჭირო ნოვატორობა შინაარსის ნოვატორობაა. როცა ჩვენ მწერლებს უყენებთ პოლიტიკურ მოთხოვნებს, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ლიტერატურისა და ხელოვნების სპეციფიურობა. ჩვენში ხშირად აუბრალოებდენ საკითხს, როცა ეხებოდენ მწერლის მხოლოდ იდეოლოგიას, მისი ნაწარმოების პოლიტიკურ თვისებებს და არაფერს ამბობდნენ მისი ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებზე. როგორი სერიოზულობითაც არ უნდა იქნას გამომჟღავნებული ნაწარმოების იდეოლოგიური შეცდომები, ეს არ იქნება ლიტერატ.-მხატვრული კრიტიკა, თუ არაფერი არის ნათქვამი ამ ნაწარმოების სპეციფიურობის, მისი მხატვრული ღირსების შესახებ. არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში მხატვრული ლიტერატურა და პუბლიცისტიკა. ჩვენ მრავალი მაგალითი გვაქვს, როცა ესა თუ ის მწერალი თავისი მხატვრული ინტუიციით იძლევა სინამდვილის სწორ სურათს, ხოლო როცა იგივე მწერალი თავის ნაწარმოებში ხელს მიყოფს პუბლიცისტიკას, ხშირად ხდება, რომ მისი დაუდგენილი მსოფლმხედველობის ყველა ნაკლოვანებები განსაკუთრებით სიმძაფრით იჩენენ თავს, რაც ამდაბლებს ნაწარმოების არა მარტო მხატვრულ, არამედ პოლიტიკურ ღირსებულებასაც.

საკმაოა გავიხსენოთ ბალზაკი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ იყო ლეგიტიმისტი და რეაქციონერი, იძლეოდა შესანიშნავ რეალისტურ ნაწარმოებს, მარქსი და ენგელსი დიდად აფასებდენ მის რეალიზმს. მის მიერ ეპოქის სოციალურ ურთიერთობის მოხერხებულ სწორ გამოსახვას. იგივე ითქმის ტოლსტოიზე, რომლის ფილოსოფიურ შრომებს ცხადია ვერ მივიღებთ, მაგრამ რომლის მხატვრული ნაწარმოები ჩვენ თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩვენს მემკვიდრეობად.

პლენუმის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო შემოქმედებითი მეთოდის საკითხი, პლენუმმა გადაჭრით და კატეგორიულად უკუაგდო წინანდელი გაულგარებული დასკვნა საკითხისა დიალექტიკური მატერიალიზმის შემოქმედებითი მეთოდის შესახებ. ვერც ერთმა, რომელიც ამ მეთოდს იცავდა, ვერ მოგვცა მისი განსაზღვრა. ვერ დაგვანახა მისი გამასხვავებელი თვისება, როგორც მხატვრული მეთოდის. ჩვენს ხელს არ ვიღებთ, რასაკვირველია, დიალექტიკურ მატერიალისტურ შეხედულებაზე, ჩვენ ერთი წუთითაც არ უარვყოფთ იმას, რომ მხატვარი დამოკიდებულია თავის მსოფლმხედველობაზე, რომელიც არასოდეს არ არის ერთეულის მსოფლმხედველობა. მაგრამ ჩვენ დიალექტიკურ მატერიალურ მსოფლმხედველობას უნდა ვნერგავდეთ მწერალთა მასებში არა მიშველი ადმინისტრატორობით. არავის არ აუხსნია, არავის არ გამოურკვევია ამ მეთოდის შინაარსი. მხოლოდ მოითხოვდენ, რომ მწერალს ეწერა ამ მეთოდით. ამას მოსდევდა ამ მეთოდის სქოლასტიური გამოყენება, ტერმინოლოგიით ჟონგლიორობა, ნაცვლად მარქსისტულ ლენინურ დიალექტიკის საფუძვლების პროპაგანდისა.

სოციალისტური რეალიზმი და რევოლუციური რომანტიზმი

პლენუმზე წამოაყენეს სოციალისტური რეალიზმი, როგორც ერთ-ერთი შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც, რაც დრო გადის უფრო იმარჯვებს და მრავალ მომხრეს პოულობს, როგორც პროლეტარულ, ისე დანარჩენ საბჭოთა მწერლებში. ამ შემოქმედებითი მეთოდის განსაზღვრა, როგორც სინამდვილის წარმოსახვის, პლენუმზე გაიზიარა მრავალმა ორატორმა, მაგრამ ამასთან ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ყოველი რეალიზმი, სინამდვილის ყოველგვარი გამოსახვა როდი შეიძლება ჩაითვალოს სიმართლედ მაშინაც კი, როცა მწერალი ჩვენი სინამდვილის ზოგიერთ მხარეს ზუსტად გადმოგვცემს. შეიძლება ერთ და იმავე მოვლენაზე დაიწეროს სხვადასხვაგვარად. რაშია საიდუმლოება? საიდუმლოება იმაში კი არ არის, რომ უბრალოდ ავსახოთ მოვლენა, არამედ იმაში, რომ ამ მოვლენებში გამოვამჟღავნოთ ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების განვითარებას. აი ამაშია საიდუმლოება და ეს ანსხვავებს სოციალისტურ რეალიზმს არა სოციალისტური რეალიზმისაგან.

გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა აგრეთვე სოციალისტური რომანტიზმის გარშემო. პლენუმმა სოციალისტური რომანტიზმი დაუპირისპირა რეაქციონურ რომანტიზმს, რომელიც მოდის მოძველებული წარსულიდან. საბჭოთა მწერალს არ შეუძლია იდეალად ჩასთვალოს ის რომანტიზმი, რომელიც ჩვენს სინამდვილეს აძლევს რაღაც ანარქიული თავისუფლებით გამსჭვალულ, ინდივიდუალურ აღვირახსნილობით გამსჭვალულ შინაარსს. ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ ის რომანტიზმი, რომელიც არ სცდილობს გაარომანტიულოს, გაიდეალუროს წარსული იმისათვის, რომ დაუპირდაპიროს იგი ჩვენს სინამდვილეს.

ჯგუფობრიობა აფერხებს ჩვენს მუშაობას

პლენუმმა უდიდესი ყურადღება მიაქცია დრამატურგიას. პლენუმმა თეატრი განსაზღვრა, როგორც ყველაზე სახალხო, ყველაზე მასიური ხელოვნება. დრამატურგიას მხატვრულ ლიტერატურაში ეძლევა უპირატესი ჟანრის მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ მეორე პლენუმზე დასმულია საკითხი დრამატურგიის შესახებ, რასაც საორგ. კომიტეტის რჩევით წინ უნდა უძღოდეს სპეციალური თათბირები რესპუბლიკებში.

აი ეს შემოქმედებითი პრობლემები განიხილა პლენუმმა. საჭიროა თუ არა ამ პრობლემების გადასაჭრელად მწერლების ცალ-ცალკე შემოქმედებითი ჯგუფებად დაყოფა? პლენუმმა ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გასცა. არ იქნება ასეთი ჯგუფების შექმნა სწორი ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრი ჩვენგანი ჯერ კიდევ გარდაქმნის, თავისი შემოქმედებითი მეთოდების გადასინჯვის პროცესში იმყოფება და ეხლა ასეთ ჯგუფებად დანაწილებას ერთგვარი ადმინისტრატიული ხასიათი ექნება, რადგან ძნელია გავარკვიოთ მხატვრულ შემოქმედებითი ზრდის ნიშნები, რომლის მიხედვით ჩვენ შეგვეძლება ჯგუფებში გაერთიანება. მეორე: ჯერ ჩვენში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ჯგუფობრიობის ელემენტები. ჯერ კიდევ საბოლოოდ გაწყვეტილი არ არის ძველი ჯგუფობრიობის ორგანიზაციული ძაფები. ამიტომ ასეთ პირობებში, როცა ჯერ კიდევ საგრძნობია წინანდელი ჯგუფობრიობის გავლენა შემოქმედებითი ჯგუფების მოწყობას მოჰყვება ის, რომ ფაქტიურად ისინი გადაიქცევიან მოკინკლავე, სექტანტურ ჯგუფებად და ჯგუფობრივი ბრძოლა ისევ აღსდგება თავისი საშინელი სახით.

შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბების ნაცვლად უმჯობესია გამონახულ იქნას მწერალთა შემოქმედებითი თანამშრომლობის სხვა ფორმები. მწერალმა ანა კარავაევამ ერთ-ერთ ასეთ ფორმად წამოაყენა საბჭოთა ლიტერატურული სალონების მოწყობა. რასაკვირველია, ეს არ არის სავალდებულო ფორმა. სხვა ახალ ფორმებთან ერთად შეიძლება მიღებულ იქნეს ეს ფორმაც, რომელიც მწერლებს საშუალებას მისცემს შეხვდენ თავის მკითხველებს, თანამოკალმეებს და კრიტიკოსებს, მწერალთა ურთიერთობისათვის ასეთი ფორმების გამონახვით შეიძლება მივაღწიოთ იმ თანასიხარულს შემოქმედებაში, რომელზედაც ლაპარაკობდა პრიშვინი.

ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ

შემდეგ მომხსენებელი ეხება რა წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობის და დასავლეთ ევროპის კულტურულ მონაპოვართა კრიტიკულად მიღების საკითხს,— ამბობს: წარსული მემკვიდრეობის მიღების საკითხში ჩვენ ვხვდებით ორ გადახრას: ერთი მხრივ ნიჰილიზმს — ცდას უარყონ წარსული ეპოქებისა და კლასების მიერ შექმნილი მემკვიდრეობა და მეორე მხრით —ცდას უკრიტიკოთ მიიღონ მთელი წარსული მემკვიდრეობა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის ეროვნული. ასეთ მოვლენებს ჩვენ ვამჩნევთ უკრაინაში, მე მგონია მას ადგილი ექნება საქართველოში და სხვა რესპუბლიკებში. ორივე ამ უკიდურესობას ჩვენ გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ, ჩვენ უნდა მივიღოთ არა ყველაფერი საერთოდ, არამედ მივიღოთ კრიტიკულად, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის თვალსაზრისით.

უკრაინაში იყო ცდა გაეძევებინათ ყველა კლასიკოსები ჩვენი სკოლებიდან იმ მოსაზრებით, თითქოს ისინი ჩვენთვის საჭირო არ იყვნენ. როგორც გადმომცეს, საქართველოშიც ილია ჭავჭავაძის გარშემო იყო გამწვავებული ბრძოლა, ერთი მხრით ადგილი ქონდა მისი უკრიტიკოთ დაკანონების ცდას, ხოლო მეორე მხრით ჩვენი ლიტერატურიდან ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ამოშლის ცდას. არ არის სწორი ასეთი მიდგომა. რასაკვირველია, მისი ნაწარმოებნი არ გამოხატავენ ჩვენი თანამედროვეობის იდეოლოგიას, მაგრამ რამოდენიმე მისი მხატვრული ნაწარმოები შეგვიძლია ჩავრიცხოთ ჩვენს მემკვიდრეობაში. ჩვენ ისე უნდა მივუდგეთ ჭავჭავაძეს, როგორც უდგებოდენ ბალზაკს მარქსიზმის კლასიკოსები, რომლებიც არ ურევდენ ერთმანეთში ბალზაკს შემოქმედს და ბალზაკს ლეგიტიმისტს. ჩვენ ჭავჭავაძე უნდა მივიღოთ არა, როგორც პოლიტიკური ფიგურა, არამედ, როგორც „კაკო ყაჩაღის", „კაცია ადამიანის" ავტორი, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა მიზანს ისახავდა ავტორი, როცა ამ ნაწარმოებში აკრიტიკებდა თავის ეპოქასა და საზოგადოებას.

მთლიანობის შექმნის დემონსტრაციას წარმოადგენდა საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის პლენუმი. ამ მთლიანობის შექმნისაკენ მოუწოდებს პლენუმი საბჭოთა ლიტერატურის ყველა რაზმებს.

კავშირის განმტკიცების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სიმტკიცე საბჭოთა მწერლების კომფრაქციაში, თვით კომუნისტ - მწერლებს შორის ჯგუფობრიობის ყოველგვარ ნიშნების აღკვეთა, ვიდრე ეს ასე არ იქნება, ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ კომუნისტური ფრაქციის ხელმძღვანელობას საბჭოთა მწერლობის მუშაობაზე. მე მოვუწოდებ აქ მყოფ საქართველოს მწერლებს გაერთიანდნენ კომუნისტური ფრაქციის გარშემო აქტიური მუშაობის საწარმოებლად.

ჩვენ წინაშე გრანდიოზული ამოცანებია, თვითეულ ჩვენგანს პასუხისმგებლობა ეკისრება. როგორც სავსებით სწორად შენიშნეს, საბჭოთა მწერლის როლი, მისი დანიშნულება ადამიანის სულის შექმნაა, საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის შექმნა — ეს ძალიან დიდი მოწოდებაა. განა შეიძლება მწერლისათვის ამაზე უფრო დიდი დანიშნულება, განა სხვა რომელიმე ქვეყანაში მწერალს შეუძლია განახორციელოს ეს როლი ისე, როგორც ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც მწერალს შეუქმნა ყველა პირობები ასეთი დიდი მოწოდებისათვის. მაგრამ ამავე დროს რამდენ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ ეს მოწოდება? ამ პასუხისმგებლობის სრული შეგნებისაკენ, ყოველგვარი კინკლაობის აღმოფხვრისაკენ მოვუწოდებ საქართველოს მწერლებს იმ რწმენით, რომ საერთო ძალებით ბოლშევიკურ პარტიის, მისი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ შევძლებთ ყველა ამოცანების შესრულებას, პარტიის ნდობის გამართლებას; იმ რწმენით, რომ საბჭოთა სოციალისტური ლიტერატურის ძლიერ საერთო ნაკადში ერთ ერთ პირველ ადგილს დაიჭერს საქართველოს საბჭოთა მწერლობის მოწინავე აქტიური რაზმი (მქუხარე ტაში).

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის და მორიგი ამოცანები

ამხ. ა. ეულის მოხსენება

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საქმიანობა

ჩემს მოხსენებას,—იწყებს ამხ. ეული, მიზნად აქვს დასახული გააშუქოს ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების არა ყველა ამოცანები, არამედ ძირითადი საკითხები, რადგან ცალკე საკითხების შესახებ პლენუმი მოისმენს თანამოხსენებებს. ფართო თვითკრიტიკის საფუძველზე მე მომიხდება შევაფასო თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურა და საბჭოთა მწერლების მუშაობა, შეიძლება, ჩემი კრიტიკა და შეფასება ზოგიერთების მიმართ არ იქნება სწორი, მაგრამ ამხანაგებს სრული საშუალება ეძლევათ მიმითითონ შეცდომებზე, და მეც საბოლოო სიტყვაში ბოლშევიკურად მივიღებ ყველა სამართლიან შენიშვნებს და შესწორებებს.

საორგანიზაციო კომიტეტის შესახებ

23 აპრილის შემდეგ ჩვენში ისე, როგორც საბჭოთა ყველა რესპუბლიკებში დაარსდა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის მუშაობა დაახლოვებით 2 თვე გაგრძელდა. საორგანიზაციო კომიტეტმა ამ ხნის განმავლობაში მოამზადა ნიადაგი საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანიზაციისათვის ახალ საფუძველზე. ზოგიერთ საბჭოთა მწერალს ყოფილ საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობა მიაჩნია არა საკმაოდ, ხოლო თვით კავშირის ჩამოყალიბება ნაადრევად. ამ ამხანაგების დასკვნით, საორგანიზაციო კომიტეტმა ძალიან მოკლე ხანს იარსება და ამის გამო მან ვერ მოასწრო წინასწარი მუშაობის ჩატარება საბჭოთა მწერლობის კავშირის დასაარსებლად. თითქოს ამით აიხსნება ის ნაკლი, რომელიც კავშირის მუშაობას ახასიათებს. რამდენად სწორია ეს შეხედულება? მართლა ნაუცბათევი იყო საბჭოთა მწერლების კავშირის მოწყობა?

ამ ზაფხულზე თბილისში იყო საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გრონსკი, რომელიც ყოველმხრივ გაეცნო ლიტერატურის ფრონტზე ჩვენში შექმნილ მდგომარეობას და სავსებით გაიზიარა ჩვენს მიერ საბჭოთა მწერლების კავშირის გასაფორმებლად მიღებული ღონისძიებები. მე ვფიქრობ, არაფერი დაშავებულა იმით, რომ ჩვენ სხვა რესპუბლიკებზე ადრე ჩამოვაყალიბეთ საბჭოთა მწერლების კავშირი, რადგან ჩემის რწმენით საორგანიზაციო კომიტეტი ვერ გააკეთებდა იმაზე მეტს, რაც თვით კავშირმა გააკეთა. საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის იანვრის პლენუმზე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მწერალთა საორგანიზაციო კომიტეტების მოხსენებებთან ერთად დასმულია მოხსენება ჩვენი კავშირის მუშაობის შესახებ და იქ მკაფიოდ გამოირკვევა ჩვენი კავშირის მიღწევები. ჩემის აზრით, მნიშვნელობა აქვს არა იმას, ადრე დაარსდა, თუ გვიან კავშირი; არამედ იმას, თუ როგორ აწარმოებდა ის მუშაობას.

კავშირის ორგანიზაციული მუშაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდვა 23 აპრილის დადგენილება და ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია. კავშირის პრეზიდიუმს, არჩევის დღიდან უკანასკნელ დრომდე, მეტწილად უხდებოდა საორგანიზაციო მუშაობის წარმოება. პრეზიდიუმმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება თავისი მუშაობის ამ მხარეზე, რადგან მწერალთა წრეებში წინათაც ჰქონდა და ეხლაც აქვს ადგილი საორგანიზაციო მუშაობის შეუფასებლობას და მისი მნიშვნელობის არა სწორ გაგებას: რასაკვირველია, მწერალთა კავშირისათვის ორგანიზაცია არის არა მიზანი, არამედ საშუალება, მაგრამ ხორგანიზაციამ რომ თავისი დანიშნულება გაამართლოს, აუცილებლად საჭიროა მისი სიმტკიცე. აი რას ამბობს ამხ. გრონსკი:

„ჩვენი კავშირის ორგანიზაციული განმტკიცების გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ წავდგამთ წინ. ამჟამად უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა შავ მუშაობას, ორგანიზაციულ მუშაობას, ჩვენში კი ჩვეულებრივ გაურბიან ამ მუშაობას".

კავშირის პრეზიდიუმმა თავის ერთ მთავარ ამოცანად სწორედ ამ შავი მუშაობის წარმოება დაისახა: შექმნა ცენტრალური აპარატი, გააბა კავშირი ადგილებთან, შეუდგა მასიურ მუშაობას, გადადგა ნაბიჯი მწერალთა ყოფაცხოვრების საკითხების მოსაწესრიგებლად, ამ ორგანიზაციული მუშაობის მთავარი დანიშნულებას წარმოადგენდა მთლიანობის შექმნა მწერალთა კავშირში.

მივაღწიეთ თუ არა მთლიანობას?

ჯერ-ჯერობით ჩვენ სავსებით მთლიანობა არ გვაქვს, აუცილებელია კავშირის ყოველი წევრი გამსჭვალოს ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით, ერთმანეთთან თანამშრომლობის გულწრფელი სურვილით. ამას კი ჯერ ჩვენ ყველა მწერლებში ვერ ვამჩნევთ. ამას აქვს თავისი მიზეზები, მაგალითად ზოგიერთი პროლეტარული მწერალი, რომელიც ასოციაციის ცალკე არსებობის დროს თავს სულ სხვა პირობებში გრძნობდა, ადვილად ვერ შეურიგდა ასოციაციის ლიკვიდაციას.

როგორც საბჭოთა სხვა რესპუბლიკებში, ისე ჩვენში ზოგიერთმა პროლეტ. მწერალმა 23 აპრილის დადგენილება არსებითად ვერ გაიგო, ვერ ჩაწვდა მის მნიშვნელობას, ცხადია ასეთი განწყობილება ხელს უშლის ნამდვილ მთლიანობის შექმნას კავშირში. მეორეს მხრივ უპარტიო საბჭოთა მწერლობის უმრავლესობა, მართალია, დიდი აღფრთოვანებით და სიხარულით შეხვდა 23 აპრილის დადგენილებას, მაგრამ მათ შორისაც აღმოჩნდენ მწერლები, რომლებმაც სწორად ვერ გაიგეს ამ დადგენილების დედააზრი.

მათ ეს ისტორიული დადგენილება ისე გაიგეს, თითქოს ხდება არა პროლეტარულ-მხატვრული ორგანიზაციების ლიკვიდაცია, არამედ თვით პროლეტარული მწერლობის ლიკვიდაცია. შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ ეს ასე არ არის, რომ პროლეტარული მწერლობა რჩება, როგორც ერთ ერთი შემადგენელი ნაწილი საბჭოთა მწერლობისა, რომ მწერალთა კავშირთან იარსებებს კომუნისტ მწერალთა ფრაქცია, ზოგიერთი უპარტიო საბჭოთა მწერალი საგონებელში ჩავარდა,—თუ ეს ასეა,—ფიქრობენ ისინი,—მაშ არაფერი ცვლილება არ მომხდარა, მდგომარეობა ისევ ძველებური რჩება. ზოგიერთი უპარტიო მწერლისაც ასეთი განწყობილებაც. რა თქმა უნდა, ხელს უშლის მთლიანობის შექმნას ჩვენს კავშირში. მაგრამ არავინ უნდა იფიქროს, რომ მდგომარეობა ისეთი იყოს, რომ მისი გამოსწორება არ შეიძლებოდეს, ჯერ კიდევ საქ. საბჭოთა მწერლობის ყრილობაზე ნათლად გამოირკვა, რომ ნიადაგი მთლიანობისათვის, ერთსულოვანი მუშაობისათვის ერთიან საბჭოთა მწერლების კავშირის ფარგლებში უკვე მომზადებულია. ვფიქრობ, რომ ამხანაგების გამოსვლა ამ პლენუმზეც ამ ჩვენს რწმენას დაადასტურებს და კიდევ უფრო განამტკიცებს.

ჯგუფობრიობის სრული ლიკვიდაციისათვის

ჩვენი კავშირის სიმტკიცის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ჯგუფობრიობის სრული ლიკვიდაცია, რადგან წარსულში სწორედ ჯგუფობრიობამ შეაფერხა საბჭოთა მწერლების ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა და დააყენა პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციები მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებიდან გარიყვის საფრთხის წინაშე. ჯგუფობრიობამ წარმოშვა არა სწორი კრიტიკა, ძმა-ბიჭობა და მიკერძოება მხატვრული პროდუქციის შეფასებაში. ჯგუფობრიობამ აუცრუა გული მრავალ ნიჭიერ საბჭოთა მწერალს შემოქმედებით მუშაობაზე. სწორედ ამიტომ ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილება გადაჭრით მოითხოვს ჩვენგან ჯგუფობრიობის ერთხელ და საბოლოოდ ლიკვიდაციას. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში ჯგუფობრიობა კიდევ არსებობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია გადამწყვეტი ზომები ჯგუფობრიობის და კინკლაობის აღმოფხვრისათვის, ვის, ჩვენში კიდევ არსებობს ერთი, ეგრედ წოდებული, **მემარცხენე** ჯგუფი, რომელიც გაურბის მწერალთა კავშირთან მუშაობას იმ საბაბით, თითქოს მემარჯვენე უპარტიო მწერლობის მიმართ კავშირი ადგეს მეტის-მეტი დათმობის პოლიტიკას, თითქოს ამით იჩაგრებოდეს პროლეტარული მწერლობა, რასაკვირველია ეს უსაფუძვლო ბრალდებაა და მისი წამოყენება ამ მემარცხენეებს სჭირიათ იმისათვის, რომ კავშირს გარეშე განაგრძონ ჯგუფური ბრძოლა. საქმის ინტერესი მოითხოვს, ჩვენს პირობებშიდაც ისე რადიკალურად დაისვას ჯგუფობრიობის ლიკვიდაციის საკითხი, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, კერძოდ რუსეთში, სადაც დაჯგუფებათა ყოფილმა ხელმძღვანელებმა ნამდვილი ბოლშევიკური გულწრფელობით აღიარეს თავიანთი შეცდომები და მით გადასჭრეს უკან,—ჯგუფობრიობისაკენ, დასახევი გზები და ხიდები.

როგორც ამხ. ჩუმანდრინმა, მაკარიევმა, ავერბახმა, ფადეევმა, განსაკუთრებით კი ჩუმანდრინმა ბოლშევიკურად აღიარეს თავიანთი შეცდომები საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის პირველ პლენუმზე, ისე პროლეტმწერლობის წინანდელმა ხელმძღვანელობამ—ამხ. **ბუაჩიძემ** და მისი ჯგუფის მწერლებმა უნდა დაარღვიონ თავისი დუმილი, აღიარონ გულწრფელად თავისი შეცდომები და გადასდგან პრაქტიკული ნაბიჯი ჯგუფობრიობის ნამდვილი ლიკვიდაციისა და ამხანაგურ თანამშრომლობისათვის ერთიან საბჭოთა მწერლების კავშირში. დუმილი ჯგუფობრიობის გაგრძელებას ნიშნავს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ამ უკანასკნელ ხანებში ვამჩნევთ ყოფილ ჯგუფების ცალკე წევრებისაგან გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს. მაგალითად ამხ. ბუაჩიძის ჯგუფის კრიტიკით გამოვიდა ამხ. შ. რადიანი. ასეთი იყო ამხ. მელაძის და კ. ლორთქიფანიძის გამოსვლაც ამა წლის დეკემბერში თვით მ-ლაძის მიერ გაკეთებულ მოხსენების გარშემო. მაგრამ ეს არის მხოლოდ პირველი ცდები, საჭიროა ეს ცდები კიდევ უფრო გაღრმავდეს და თავისი შეცდომების კრიტიკით გამოვიდნენ ყოფილი ჯგუფების არა მარტო ცალკეული წევრები, არამედ მთლიანად მთელი ყოფილი ჯგუფები, ამ ჯგუფების

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ამხ. სანდრო ეულის მოხსენება

ყველა წევრები, რომლებმაც უნდა ილაპარაკონ არა მარტო თავის საკუთარ შეცდომებზე, არამედ ჯგუფის მიერ აღებულ საერთო შემცდარ ხაზზე. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ არავითარი ნაყოფიერი მუშაობა, არავითარი წინსვლა არ შეიძლება, თუ დროზე არ ვაღიარეთ დაშვებული შეცდომები და ამ თავითვე არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები მათ გამოსასწორებლად. ჯგუფობრიობას ბოლო უნდა მოეღოს არა მარტო პროლეტარულ მწერალთა შორის, არამედ უპარტიო საბჭოთა მწერლებს შორისაც. მაგრამ თუ სადმე ასეთ მუშაობას ადგილი აქვს, იგი უნდა მოისპოს, რადგან ჯგუფური მუშაობა ერთგვარად მიუღებელი და მავნებელია საერთო საქმისათვის, როგორც კომუნისტ მწერლების, ისე უპარტიო საბჭოთა მწერლების მხრით.

ფართოდ გავშალოთ თვითკრიტიკა

ჯგუფობრივობას ბოლოს მოუღებს ფართოდ გაშლილი თვითკრიტიკა, სწორედ გაგებული თვითკრიტიკა. ზოგიერთს თვითკრიტიკა ასე ესმოდა,—„შენი შეცდომა— უნდა იყოს აღიარებული, ჩემი კი არა“. ეს ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაყალბებაა. ბოლშევიკური თვითკრიტიკის ლოზუნგი საკუთარი შეცდომების კრიტიკას მოითხოვს. მხოლოდ საკუთარი შეცდომების მხილებით შეიძლება შეიქმნას ისეთი ატმოსფერა, რომ ყველამ გამოსთქვას აზრი, თავისი შეხედულებები იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომელიც ყოველ ჩვენგანს აწუხებს. უნდა ალიკვეთოს არა მარტო ჯგუფობრივი ბრძოლა, არამედ ის არა ამხანაგური, არა ნორმალური დამოკიდებულება მწერალთა შორის, რომელსაც წინათაც ვამჩნევდით და ეხლაც ვამჩნევთ. განა შეიძლება თანამშრომლობაზე ლაპარაკი, თუ არ გაჯანსაღდა მწერალთა ურთიერთობა, თუ არ მოისპო სიტყვიერი და ხანდახან ფიზიკური შეურაცხყოფის შესაძლებლობა? უნდა ვაღიაროთ, რომ არა ნორმალური ატმოსფეროს შექმნაში ბრალი მიუძღვის ჩვენს კრიტიკას, რომელიც არ იყო სალი. კრიტიკის გარშემო თავს იყრიდენ გარკვეული ჯგუფის კრიტიკოსები და მწერლები, რომლებიც ამა თუ იმ ლიტერატურული პროდუქციის შეფასებას აწარმოებდენ თავისი ჯგუფის ინტერესების თვალსაზრისით, საკითხისადმი „ამბიციური“ მიდგომით, რაც ამწვავებდა პირად დამოკიდებულებას მწერალთა შორის. კრიტიკის გაჯანსაღება აუცილებელი პირობაა ნორმალური ატმოსფეროს შექმნისათვის.

კავშირის მასიური მუშაობა

თუმცა კავშირი მეტ ნაწილად ორგანიზაციული მუშაობას აწარმოებდა, მაგრამ მას არც სხვა დარგის მუშაობა დაუტოვებია უყურადღებოდ. პრეზიდიუმმა გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი მასიურ საწრეო საქმიანობის გასაძლიერებლად. ამჟამად ჩვენ ჩამოყალიბებული გვაქვს შვიდი ქართული სალიტერატურო წრე თბილისის მთავარ საწარმოებში და აგრეთვე სომხური, რუსული და თურქული წრეები. წინად რეორგანიზაციამდე თბილისში ითვლებოდა რამდენიმე ათეული წრე. მაგრამ ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდენ. ეხლა წრეები თითქმის შემცირდა, მაგრამ შესამჩნევად გაუმჯობესდა მათი მუშაობის ხარისხი. თუმცა აქვე უნდა ვსთქვათ, რომ საწრეო სალიტერატურო მუშაობა მხოლოდ დაწყებულია და ძირითადი და მთავარი მომავალშია გასაკეთებელი. ჩვენი მიზანია არ გამოვედევნოთ რაოდენობას, ჩამოვაყალიბოთ იმდენი წრე, რამდენსაც ჩვენ გაუძღვებით, და რამდენის ხელმძღვანელობის საშუალება გვექნება. მასიური მუშაობა ჩვენ მხოლოდ წრეების მოწყობით არ შემოგვიფარგლავს. ჩვენ მას სხვა მიმართულებითაც ვაწარმოებთ. მაგ., 23 აპრილის დადგენილების პოპულარიზაციისათვის ჩვენ მოვაწყვეთ მოხსენებები კლუბებში, საწარმოებში, სარაიონო ცენტრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში. ამ მოხსენებებს მოჰყვა ნაყოფიერი შედეგი იმ მხრივ, რომ მასებს საშუალება მიეცათ სწორი და ნათელი შეხედულება გამოემუშავებიათ პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის საკითხებზე.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ბეჭდვითი მხატვრული პრესის მდგომარეობას და ამბობს, რომ ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, რომ მწერალთა კავშირის ორგანო „საბჭოთა მწერლობა“, რომელსაც ახასიათებს მრავალი ნაკლი, გაუმჯობესდეს თავისი ხარისხით და მისმა გამოცემამაც მიიღოს რეგულიარული ხასიათი.

რაც შეეხება „სალიტერატურო გაზეთს“, მას ჰქონდა ცალკე შეცდომები, რომლიც მან გამოასწორა და ეხლა მას ეტყობა შესამჩნევი გაუმჯობესება. ბრძოლა ამ გაზეთის ხარისხისათვის უნდა გაგრძელდეს. რაც შეეხება ჟურნალ „მნათობს“, უნდა ითქვას, რომ ის იქვე რუსულ ჟურნალს არ ჩამოუვარდება. ამ ჟურნალში იბეჭდებიან ჩვენი საუკეთესო მწერლები.

მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის საკითხი

23 აპრილის დადგენილებამ გააცხოველა მწერალთა შემოქმედებითი მუშაობა— განაგრძობს ამხ. ეული, თუ ხელი შეუწყო საბჭოთა მწერლობის პროდუქციის და მხატვრული პროდუქციის ხარისხობრივ გაუმჯობესებას, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამ დადგენილებამდე საბჭოთა ლიტერატურა ერთ ადგილზე იყო გაყინული. ასეთი გაგების ტენდენციებს კი ადგილი ჰქონდა, ზოგიერთი მწერალი ფიქრობდა, თითქოს საბჭოთა მწერლობა განიცდიდა კრიზისს, თითქოს იგი კატასტროფიულ მდგომარეობამდე მივიდა და 23 აპრილის დადგენილების ძირითადი ამოცანაც თითქოს ყოფილიყო საბჭოთა მწერლების გამოყვანა ამ მდგომარეობიდან, ეს შეხედულება ძირშივე შემცდარია, საბჭოთა მწერლობის განვითარებამ ჯერ კიდევ ამ ისტორიულ დადგენილებამდე მიაღწია იმ დონეს, რომ თავისი იდეურობით მან პირველი ადგილი დაიჭირა მთელს მსოფლიოში. არ გამართლდა ტროცკის მოსაზრება, რომ თითქოს გაბატონებული პროლეტარიატი ვერ შექმნის თავის კულტურას, თავის საკუთარ მწერლობას, ფაქტებმა გააცამტვერეს ეს მოსაზრება ამის დასამტკიცებლად საკმარისია არ მარტო საერთო საკავშირო სალიტერატურო მოძრაობიდან აღებულ მაგალითებით, არამედ საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრების ერთი თვალის გადავლებითაც. საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებში პროლეტარული მწერლობა მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენდა. მისი ხვედრითი წონა უმნიშვნელო იყო. ბევრი ფიქრობდა, რომ იგი ამ ჩანასახის ფარგლებს ვერ გაშორდებოდა. მაგრამ დღეს პროლეტარულ მწერლობას მხატვრული შემოქმედების ყოველ დარგში ჰყავს წარმომადგენლები, რომელთაგან ზოგიერთის მხატვრული პროდუქცია დიდ ხარისხობრივ სიმაღლეზე სდგას, რამდენიც არ უნდა ეცადოს, ამ ფაქტს ვერ გააბათილებს ამხ. ნ. მიწიშვილი, რომელიც „სალიტერატურო გაზეთის“ 25 დეკემბრის ნომერში, კითხვის და ეჭვის ქვეშ აყენებს პროლეტარული მწერლობის მიღწევებს ამ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში. არავის არ შეუძლია უარყოს საქ. პროლეტარულ მწერალთა საგრძნობი მიღწევები. თუ ამ 12 წლის წინად პროლეტარულ მწერალთა რიცხვი თითზე ჩამოითვლებოდა, ეხლა გვყავს პროლეტარულ მწერალთა მთელი რაზმი, რომლებიც როგორც პროზის და პოეზიის, ისე დრამატურგიის დარგში იძლევიან საკმაოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას. ეს ფაქტია, და არა შესაძლებლობა, როგორც ეს ჰგონია ამხ. მიწიშვილს. პროლეტარული მწერლობის წარმატება არ გულისხმობს იმას, რომ არ ვითარდებოდა და წინ არ მიდიოდა არა პროლეტარული, საბჭოთა მწერლობა. უპარტიო საბჭოთა მწერლობამაც განიცადა არა მარტო იდეოლოგიური ძვრები, არამედ შემოქმედებითი წინსვლაც. თუ წინად ჩვენ ამა თუ იმ მწერლის დამოკიდებულებაზე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ვმსჯელობდით მისი დეკლარატიული განცხადების მიხედვით, ეხლა ჩვენ მოგვეპოვება უპარტიო საბჭოთა მწერლების მრავალი ლიტერატურული „აქტი“, რომელიც საფუძველს გვაძლევს ვსთქვათ, რომ საბჭოთა მწერლების დიდი ნაწილი თავისი შემოქმედებით უახლოვდება პროლეტარიატს, კომუნისტურ პარტიას და მთელ მშრომელ მასებთან ერთად მონაწილეობას ღებულობს სოციალიზმის მშენებლობაში.

უპარტიო საბჭოთა მწერლების უკანასკნელ წლების შემოქმედება ადასტურებს, რომ უპარტიო საბჭოთა მწერლობა, რაც დრო გადის, იძლევა უფრო და უფრო მეტ და უფრო უკეთესი ხარისხის პროდუქციას.

საბჭოთა მწერლობის რაიმე კრიზისზე, ლაპარაკი ყოვლად უმართებულოა, არასოდეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მწერლობის ზრდას ისეთი ტემპი არ ჰქონია, როგორც ჰქონდა ამ 12 წლის განმავლობაში. ასე, რომ ამხ. მიწიშვილის პესიმისტური შეხედულება ძირშივე შემცდარია. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მოპოვებული მიღწევებით.

შევქმნათ სათანადო პირობები შემოქმედებითი აქტივობისათვის

23 აპრილის დადგენილება გვავალებს, რომ მუშაობა და ბრძოლა მომავალში კიდევ უფრო გავაორკეცოთ და შევქმნათ საუკეთესო პირობები საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი აქტივობისათვის. ჩვენ უნდა ხორცი შევასხათ, ლიტერატურის მაგნიტოსტროის ლოზუნგს. ჩვენ უნდა შემოვიღოთ მუშაობის ახალი ფორმები იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო ახლო მივიდეთ ცხოვრებასთან, კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდეთ იმ მოვლენებს, რომლებიც ამაგრებს ჩვენს ქვეყანას სოციალიზმის გზაზე. საანგარიშო პერიოდში ჩვენ უკვე ვსცადეთ მუშაობის ერთ-ერთი ამ ახალი ფორმათაგანი: მოვაწყვეთ სხვა და სხვა მშენებლობებზე და რაიონებში მწერალთა ეგრედწოდებული შემოქმედებითი მივლინებები. პირველმა ცდამ ნაყოფი მოგვცა, მივლინებებმა ბევრი რამ მისცა მწერლებს, შემდეგში ჩვენ კიდევ უფრო ფართოდ გავშლით მუშაობას ამ ფორმას.

ჩვენ უნდა მივმართოთ მუშაობის ყველა მისაღებ ფორმებს, რომ დავსძლიოთ საბჭოთა მწერლობის წინაშე წამოჭრილი დიდი ამოცანები. ჩვენ უნდა შევამჭიდროვოთ მთელი ჩვენი ძალები, შევქმნათ მთლიანობა, ამხანაგური თანამშრომლობა საერთო ამოცანების გადასაჭრელად. რასაკვირველია, მთლიანობა, კონსოლიდაცია არ ნიშნავს ზავს, მშვიდობიანობას ლიტერატურის ფრონტზე. კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სოციალისტური მშენებლობის წარმატებებთან ერთად გამწვავებულ ხასიათს ღებულობს, თავს იჩენს ლიტერატურაშიც. ჩვენ გვმართებს სიფხიზლე და გულის ყური, რომ კლასობრივი მტრის ზრახვების გამტარებელი არ გახდეს ჩვენი კავშირის არც ერთი წევრი, ჩვენ გვმართებს გავაჩაღოთ დაუნდობელი ბრძოლა იმისათვის, რომ კლასობრივი მტრის პოზიციაზე არ გადავიდეს არც ერთი საბჭოთა მწერალი — ჩვენი კავშირის არც ერთი წევრი.

აი ეს ძირითადი მიზანი უნდა ჰქონდეს თვითეულ ჩვენთაგანს, როცა იგი გამოდის თავის თანამოკალმეთა შეცდომების კრიტიკით, აწარმოებს მისი შემოქმედების შეფასებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას მიქცეული მხატვრული კრიტიკისადმი. ორი აზრი არ არსებობს კრიტიკის ჩამორჩენის შესახებ, თუმცა არც ისე კატასტროფიული მდგომარეობაა, როგორც ზოგიერთებს გონიათ. მხატვრული კრიტიკის დონეს ამაღლებისათვის არ უნდა დავიშუროთ ჩვენი შესაძლებლობანი. არ შეიძლება ჩვენი ყურადღების გარეშე დავაყენოთ საბავშვო ლიტერატურა, რომელსაც სამწუხაროდ დღემდის სალიტერატურო ორგანიზაციები არ აქცევდენ ჯეროვან ყურადღებას. ასევე დგას ჩვენს წინაშე დრამატურგიის საკითხიც, რომლის შესახებ თქვენ მოგახსენათ ამხ. კულიკმა.

ახლო მომავალში ჩვენ მოვიწვევთ თათბირებს მხატვრული კრიტიკის, საბავშო ლიტერატურის და დრამატურგიის... ორიოდე სიტყვა თავდაცვითი ლიტერატურის შესახებ. ამ ხაზით მუშაობა წარმოებდა წარსულშიც. არსებობდა ეგრედწოდებული „ლოკაფი“, რომლის მუშაობა ჩვენში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. საჭიროა ამ ხაზით მუშაობის გაძლიერება

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ კავშირის წევრთა მთლიანობით, კავშირის განმტკიცებით, ჯგუფობრივობის აღმოფხვრით, ყველა ცოცხალ ძალების შემჭიდროებით და თანამშრომლობით საბჭოთა მწერლობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებს მის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს (ტაში).

საბჭოთა მწერლები
მომავალი მუშაობი

ამხ. ბეს. ჟღენტის მოხსენ

მეორე ხუთწლედი და მწერალთა ამოცანები

ჩვენი პლენუმი, — ამბობს ამხ. ჟღენტი, — მოწვეულია არა მარტო იმ მიზნით, რომ შევაფასოთ ქართული ლიტერატურის მდგომარეობა და 23 აპრილის ისტორიული დადგენილების რეალიზაციის შედეგები, არამედ იმ მიზნითაც, რომ განვსაზღვროთ, გამოვიმუშაოთ ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის კონკრეტული პროგრამა 1933 წლისათვის. ეს წელი არის პირველი წელიწადი მეორე ხუთწლედის, რომლის ძირითად სამეურნეო - პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრა როგორც ეკონომიკიდან, ისე ადამიანთა შეგნებიდან. ეს უდიდესი ძირითადი ამოცანა განსაზღვრავს საბჭოთა მწერლების კავშირის შემდგომ მუშაობას უახლოეს მომავალში. 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე ჩვენმა კავშირმა უნდა უზრუნველყოს საბჭოთა მწერლების ყველა სასიცოცხლო ძალების კონსოლიდაცია, მწერალთა მთელი აქტივის დარაზმვა სოციალიზმის აშენების გარშემო, უზრუნველჰყოს მწერლობის გადაქცევა მასების კომუნისტური აღზრდის ნამდვილ იარაღად.

ბოლომდე ვამხილოთ შეცდომები

მწერალთა კავშირის ეს ძირითადი ამოცანა გულისხმობს, რომ ჩვენ ბოლომდე ვამხილოთ, ბოლომდე გამოვამჟღავნოთ ყველა ის შეცდომები, რომლებიც რამოდენიმე წლის განმავლობაში მტკიცდებოდა არა მარტო მწერლობის, არამედ მკითხველთა შეგნებაშიც. ჩვენმა კავშირმა ამ მიმართულებით უკვე აწარმოვა სათანადო მუშაობა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ახლო მომავალში გასაკეთებელი არაფერი გვქონდეს. არ კმარა რეზოლიუციაში ჩამოვთვალოთ შეცდომები. საჭიროა ყველა შემცდარი ლოზუნგებისა და შეხედულებების გაკრიტიკება, საჭიროა ამ შეცდომების კრიტიკის მიყვანა ყოველი მწერლისა და მკითხველის შეგნებამდე, რაც მწერალთა კავშირს საშუალებას მისცემს სწორად წარმართოს სალიტერატურო პოლიტიკა.

ამ შეცდომების კრიტიკასთან დაკავშირებულია ჯგუფობრიობის აღმოფხვრის ამოცანა. როგორც აქ აღნიშნეს ჯგუფობრიობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაძლეული, ხელს უშლის საბჭოთა მწერლობის კონსოლიდაციას და წარმოადგენს უმთავრეს საფრთხეს ნორმალურ ლიტერატურულ მუშაობისათვის: კავშირმა ამოცანად უნდა დაისახოს ჯგუფობრიობის სრული ლიკვიდაცია არა ორგანიზაციული ღონისძიებებით, არამედ იდეური ბრძოლით. საბჭოთა მწერლობის ხელმძღვანელობამ უნდა მოსთხოვოს ამ ჯგუფების წევრებს, რომ მათ უფრო მეტი გაბედაობით აღიარონ თავისი შეცდომები და კავშირის სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ დაშვებულ შეცდომების გამოსწორებაში. კავშირმა მათ უნდა შეუქმნას ამხანაგური ატმოსფერა, რათა ისინი გულწრფელად მოვიდენ ჩვენთან და ხელი აიღონ ჯგუფურ კარჩაკეტილობაზე. ამ გზაზე გადგომას ჯერ კიდევ თავს არ ანებებს ე. წ. „მემარცხენე“ ჯგუფი, რომელიც პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის არსებობის დროსაც იბრძოდა თავისი ჯგუფის ჰეგემონიისათვის და ეხლაც განაგრძობს საბჭოთა მწერლობის კავშირთან ბრძოლას იმ საბაბით, თითქოს კავშირი იჩენს პროლეტარულ მწერლობის შეუფასებლობას. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ეს ამხანაგები, რომ კავშირი არა თუ არ იჩენს პროლეტარული მწერლობის შეუფასებლობას, არამედ სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ყველა იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობენ მიჩქმალონ პროლეტარული მწერლობის როლი. ამასთან ერთად კავშირმა უნდა გაამახვილოს ბრძოლა მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ. ამავე დროს ჩვენ გვექნება კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებს ლიტერატურაშიაც. ამის ნიშნები უკვე სჩანს. იმ მწერლებს, რომლებმაც ამ ერთი ორი წლის წინად შეიგნეს სოციალისტურ მშენებლობაში მწერლობის მონაწილეობის აუცილებლობა, დღეს ვამჩნევთ უკან დახევას, აპოლიტიზმისა და უიდეო შემოქმედებისაკენ. ამ ამხანაგებს უნდა განვუმარტოთ, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გვავალებს მწერალთა გაერთიანებას არა უიდეო შემოქმედების, არამედ სოციალისტური შემოქმედების გარშემო. იდეური ბრძოლით და არა ადმინისტრატიული წესით ზოგიერთ მწერალს ხელი უნდა ავაღებინოთ ზემოდაღნიშნულ შემცდარ და მავნე შეხედულებაზე.

ჯგუფობრივობა უნდა მოისპოს საბჭოთა მწერლობის ყველა ფენებში

ჯგუფობრიობის ნაშთებს ადგილი აქვს არა მარტო ყოფილ პროლეტარულ მწერლებს შორის, არამედ არა პროლეტარულ მწერლებს შორისაც, რომლებიც რამოდენიმე წლის წინად ცალკე ასოციაციებად შედიოდენ მწერალთა კავშირში. ოფიციალურად დღეს ეს ასოციაციები გაუქმებულია. მაგრამ ფაქტიურად მათი ნაშთები ისევ სცოცხლობენ. პლენუმმა მათი ლიკვიდაციის საკითხი კატეგორიულად უნდა დასვას და მოსთხოვოს ამ დაჯგუფებათა ხელმძღვანელებს და წევრებს არა დეკლარატიული განცხადება, არამედ პრაქტიკული მუშაობაც ჯგუფური კარჩაკეტილობის და განკერძოების ალაკვეთად.

საბჭოთა მწერლის ენერგია უნდა ხმარდებოდეს კლასობრივი ბრძოლის ამოცანების გადაჭრას. მაგრამ კლასობრივი ბრძოლა ისე კი არ გავიგოთ, რომ საბჭოთა მწერლების რიგებში ვეძებოთ კლასობრივი მტერი. ერთიან საბჭოთა მწერლობის კავშირში არ შეიძლება გვყავდეს კლასობრივი მტერი, რაც იმას არ ნიშნავს, რომ კლასობრივი მტრის იდეოლოგია ხანდახან გამოხატულებას არ პოულობს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში. მწერლების არა კლასობრივ მტრებად და მოკავშირეებად დაყოფა, არამედ ჩვენი მწერლების შემოქმედებაზე ფხიზელი თვალყურის დევნება და მასში მოწინააღმდეგე კლასების მსოფლმხედველობის გამოვლინების სასტიკი კრიტიკა უნდა დაისახოს ამოცანად ჩვენი მწერლობის ხელმძღვანელმა ორგანომ !.

საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი აქტივიზაცია

მთავარი მიზანი, რომლისათვისაც მწერალთა ორგანიზაცია არსებობს, არის მწერალთა შემოქმედების აქტივიზაცია. მწერალთა ორგანიზაციამ უნდა შექმნას ყოველგვარი პირობები, უნდა მოამზადოს იდეურ - მორალური ატმოსფერა იმისათვის, რომ გაიზარდოს მწერალთა პროდუქცია და ხარისხი იმ დონემდე, რომელიც ჩვენს ეპოქას შეეფერება. ამ მხრივ დაიწყო მუშაობა, რომელიც იძლევა უკვე ნაყოფიერ შედეგს. არ არიან მართალი ის ამხანაგები (ნ. მიწიშვილი, შ. დუდუჩავა, დ. ბენაშვილი). რომლებიც ამბობენ, რომ ლიტერატურული ცხოვრება მოდუნდა, რომ სერიოზული და თეორიული შემოქმედებითი მუშაობა არ დაწყებულა. ასეთ განწყობილებებს პლენუმმა სასტიკი კრიტიკით უნდა უპასუხოს და ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ცეკას ისტორიულმა დადგენილებამ მწერლობის დაზგაზეც გააცხოველა მუშაობა. ჩვენ არ გვეგულება მწერალი, რომელიც არ იჯდეს და შემოქმედებით მხატვრულ მუშაობას არ ეწეოდეს. ვინც ამას ვერ ხედავს, ის ალბად მოწყვეტილია ჩვენს სინამდვილეს. ხოლო ვინც ჩვენ ლიტერატურულ ცხოვრებას თვალს ადევნებს, მას ეცოდინება, რომ **კ. კალაძემ** უკანასკნელ ხანებში დასწერა ორი პოემა, **კ. ლორთქიფანიძემ** დაამთავრა თავისი რომანი „სიმინდის რესპუბლიკა“, ახალ ნაწარმოებზე მუშაობენ **პ. ჩხიკვაძე, ალ. გომიაშვილი, ირ. აბაშიძე, ი. ლისაშვილი, პ. სამსონიძე** სწერს ახალ დიდ პოემას, **ს. ჩიქოვანმა** ამ დღეებში გამოაქვეყნა ახალი ლექსების კრებული, **ალ. მაშაშვილმა** დაამთავრა ახალი პიესა. იბეჭდება **ლ. ქიაჩელის** ახალი რომანი. **შ. დადიანმა** [illegible] გადასცა ახალი პიესა და სხვ.

ძნელია ყველა იმ მწერლების ჩამოთვლა, რომლებიც დღეს შემოქმედებითი მუშაობას ეწევიან. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის არც ამ შემოქმედებითი მუშაობის ხარისხი, არც ის პირობები, რომელშიდაც მწერლებს უხდებათ მუშაობა. ჯერ კიდევ ყველა მწერალი ვერ იძლევა ხარისხით მაღალ პროდუქციას, ჯერ კიდევ გვაქვს ხალტურის ნიმუშები. 23 აპრილის დადგენილების შემდეგ ჩვენ მწერლობას მაღალი ხარისხიც უნდა მოვსთხოვოთ და უკუვაგდოთ მხატვრული ლიტერატურის შეფასება — მხოლოდ პოლიტიკური იდეოლოგიის თვალსაზრისით. ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ და მთელმა ჩვენმა მწერლობამ ამოცანად უნდა დაისახოს, რომ თვითეული მწერალი შეაფასოს პერსონალურად, გამოარკვიოს თვითეული მათგანის მხატვრული დონე.

ორგანიული დაკავშირება სოციალისტურ მშენებლობასთან

საბჭოთა მწერლობა უნდა ვაქციოთ მასების ნამდვილ კომუნისტური აღზრდის იარაღად, რაც გულისხმობს მწერლის დაახლოვებას, მწერლის უშუალო მისვლას სოციალისტურ მშენებლობასთან. მწერლები და მათი შემოქმედება უნდა მივიყვანოთ მშრომელ მასებამდე. სწორედ ამ მიზნით მწერალთა კავშირმა შემოიღო თავისი წევრების შემოქმედებითი მივლინებები სამრეწველო საწარმოებსა და რაიონებში. ეს მუშაობა მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს მივლინებებს, სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს. მწერლები თავის ნაწარმოებს უნდა კითხულობდენ არა მარტო ხელოვნების სასახლეში, არამედ იქ, სადაც სწარმოებს უშუალო მუშაობა სოციალისტური მრეწველობის გიგანტების აშენებისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგმულია. უკვე მოეწყო სპეციალური მივლინებები სიღნაღში, სტალინისში, ფოთში, ჭიათურაში და ავტონომიურ რესპუბლიკებში. არ არის მართალი აფხაზეთის სალიტერატურო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. გრიგოლია, რომელიც ამტკიცებს თითქოს სამხრეთ - ოსეთის დელეგაცია ამ პლენუმზე არ გამოცხადდა იმიტომ, რომ ჩვენმა კავშირმა ვერ გაუწია ხელმძღვანელობა პლენუმისათვის იქ წარმოებულ მოსამზადებელ მუშაობას. ეს ბრალდება უსაფუძვლოა. როგორც სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებში, ისე სამხრეთ ოსეთში საქ. მწერალთა კავშირმა გააცხოველა და გააძლიერა ხელმძღვანელობა ადგილობრივ ლიტერატურულ ორგანიზაციების მუშაობაზე.

ადგილობრივი სალიტ. ორგანიზაციები საჭიროებენ მეტ ცოცხალ ხელმძღვანელობას

ის, რაც იქ გაკეთდა, საკმაო არ არის. კავშირმა თავის ერთ-ერთ ამოცანად უნდა დაისახოს ცოცხალი ხელმძღვანელობის გაძლიერება ავტონომიურ რესპუბლიკების და სარაიონო სალიტერატურო ორგანიზაციების მიმართ. ჩვენი მუშაობის ყველა ფორმები (მოხსენებების გაკეთება, შემოქ-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

საბჭოთა მწერლობის ძალთა კონსოლიდაციისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპის გამგის

ამხ. კ. ორაგველიძის სიტყვიდან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ.-ის 23 აპრილის დადგენილებას—ამბობს ამხ. კ. ორაგველიძე—მოჰყვა საბჭოთა მწერლების შემობრუნება არა მარტო ცენტრში, არა მარტო საბჭოთა რუსეთში, არამედ ყველა ნაციონალურ რესპუბლიკებში. ამ დადგენილებამ ყველგან მნიშვნელოვანი გარდატეხა და სერიოზული ძვრები გამოიწვია. თუ წინათ დადგენილების გამოქვეყნებამდე ლიტერატურული ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ადმინისტრატორული მიდგომას ზევიდან კარნახს, ახლა ეს ასე არ არის. ყველგან დაიწყო და გაიშალა დიდი ლიტერატურული შემოქმედებითი მუშაობა. ამ გარდატეხას ვხედავთ ჩვენ საქართველოშიც. მთელი რიგი საბჭ. მწერლების გამოსვლა ამ პლენუმზე ამ ცვლილებების ილუსტრაციას წარმოადგენს. არ არიან მართალი, ის ამხანაგები, რომლებიც ამტკიცებენ თითქოს ჩვენ მწერლობას წინსვლა არ ეტყობოდეს, თითქოს ლიტერატურის ფრონტზე მდგომარეობა უფრო ცუდი იყოს, ვიდრე 23 აპრილის დადგენილებამდე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე შემოქმედებითი მუშაობა უკანასკნელ ხანებში გაიშალა დიდის მასშტაბით. ცხადია ამ მუშაობას აქვს ნაკლი. მაგრამ არ შეიძლება ამ ნაკლის ისე გაზვიადება, როგორც ამას ზოგიერთი ამხანაგი სჩადის. სწორედ ასევე დაუშვებელია ხელი დავაფაროთ და მივჩქმალოთ შეცდომები და უარყოფითი მხარეები, რომელიც ახასიათებს საბჭოთა მწერლობას მისი განვითარების ეხლანდელ ეტაპზე. სალიტერატურო ფრონტზე საქართველოში ჯერ კიდევ საგრძნობი ჯგუფობრივი ბრძოლაა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში—საქართველოში ისე როგორც ზოგიერთ სხვა ნაც. რესპუბლიკებში, ჯგუფობრივი ბრძოლა უფრო მახინჯ ფორმებში მჟღავნდება ვიდრე მოსკოვში. ჯგუფობრიობა აფერხებს მწერლობის ნორმალურ განვითარებას, წამოჭრილ ამოცანების სწორ გაგებას, ნაცვლად სერიოზული შემოქმედებითი მუშაობისა ხელს უწყობს მწერლების ერთმანეთთან წაკიდებას, უპრინციპო შეხლა-შემოხლას, ქორიკანობას, ინტრიგას და სხვა. არის თუ არა ჩვენში ჯგუფები?

უსათუოდ არის. ჯგუფები არსებობენ როგორც კომუნისტ პროლეტარულ მწერალთა შორის, ისე უპარტიო საბჭოთა მწერლებს შორისაც. ეს ძალიან ცუდად მოქმედობს საბჭოთა მწერლების მუშაობაზე და ხელს უშლის ნაყოფიერ ლიტერატურულ შემოქმედებას. უნდა მოისპოს ეს ჯგუფობრიობა და აღმოიფხვრას ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ და ხელს უწყობენ მწერლების ჯგუფებად დაყოფას. რა გზით რა საშუალებით?

რასაკვირველია, არა ცარიელ ლიტონი სიტყვით, არამედ საკითხისადმი სერიოზული მიდგომით, მდგომარეობის ყოველმხრივი გამორკვევით, ყველა იმ ძალების შემოქმედებითი მუშაობაში ჩაბმით, რომლებიც სდგანან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და რომელთაც გულწრფელად სურთ სოციალიზმის მშენებლობაში მონაწილეობა და რაც მთავარია ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების, ბოლშევიკური მხილებით, მათი დაძლევით.

საჭიროა გამოირკვეს და დადგინდეს ის საკითხები, რომელთა გარშემო შეიძლება ხელისუფლების პლატფორმაზე მწერალთა გაერთიანება თანამშრომლობა. თუ საბჭოთა მწერლები ამ თავითვე არ შეთანხმდენ, არ გამოარკვიეს ის საკითხები, რომელთა გადაჭრა წინაპირობას წარმოადგენს საერთო მუშაობისათვის, ჯგუფობრიობა ისევ იჩენს თავს და აღსდგება მთელი თავისი სიმძლავრით. საბჭოთა მწერლობის გაერთიანების საფუძველს წარმოადგენს 23 აპრილის დადგენილება. ამ დადგენილებით ყველა საბჭოთა მწერალს შემოქმედებითი მუშაობის სრული შესაძლებლობა ეძლევა. პარტია ხელს უწყობს ყველას, ვისაც სურს სოციალიზმის სასარგებლოდ მუშაობა პარტია ქმნის და ქმნიდა მუშაობის ნორმალურ პირობებს, იგი მზად არის ყველა საბჭოთა მწერალს აღმოუჩინოს დახმარება მის შემოქმედებით მუშაობაში. მაგრამ ამავე დროს ჩვენ მთელის ბოლშევიკური შეურიგებლობით შევებრძოლებით კლასობრივ მტრის ყოველგვარ გავლენას ლიტერატურაში. ზოგიერთები ფიქრობენ რომ თითქოს ცეკას დადგენილების შემდეგ დამყარდა კლასობრივი ზავი. ეს აბსოლუტურად შემცდარი გაგებაა ცეკას დადგენილების. ეს თვალსაზრისი პარტიის ამ ისტორიული გადაწყვეტილების უხეში გაყალბება—დამახინჯებაა. ჩვენი მოვალეობაა უკუვაგდოთ და შევებრძოლოთ ასეთ განწყობილებებს, ასეთ შეხედულებებს.

ამ პლენუმზე გამოვიდა ამხ. ჯავახიშვილი და აღძრა ერთი საკითხი ენის შესახებ. ამხ. ჯავახიშვილმა განაცხადა.., „უცნაური რამ ემართება ქართულ ენას“, მე ვიცნობ ისეთ ქართველ მწერლებს, რომლებსაც შესანიშნავი ქართული ენა აქვთ მაგრამ გრამატიკა არ იციან“. ამგვარად ჯავახიშვილი აყენებს ენის ცოდნის საკითხს. არავინ არ უარყოფს, რომ ამ საკითხში ჩვენ გვაქვს ნაკლი, პირიქით, პარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც ერთი ენის, არც ქართულის, არც რუსულის შესწავლა სათანადოთ არ არის დაყენებული. პარტია უფრო ფართოდ სვამს ამ საკითხს. ის საჭიროდ სცნობს, რომ ენის შესწავლას დიდი ყურადღება მიექცეს როგორც დაბალ, ისე საშუალო, და უმაღლეს სასწავლებლებში. პარტია ვერ ურიგდება ისეთ მდგომარეობას, როცა უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ ხშირად ენის იმდენი ცოდნაც არ მოეპოვებათ, რომ უშეცდომოთ დასწერონ უბრალო განცხადება. ახალგაზრდობამ, რომელიც სწავლობს, უნდა იცოდეს ენა, სწორი წერა-კითხვა, მართლწერა. პარტიას ის საკითხი მიაჩნია მეტად სერიოზულ საკითხად და ამაზე ამახვილებს საბჭ. საზოგადოებრიობის ყურადღებას. საქმე შეეხება იმას, რომ მასებს სოციალისტური კულტურა მისცეს გასაგებ ენაზე, მისასალმებელია, როცა ამხ. ჯავახიშვილს სურს მოაწყოს ენის შესასწავლი კურსები. დეე მოეწყოს ასეთი კურსები. მაგრამ ჩვენ უფრო ფართოდ ვაყენებთ საკითხს. მარტო ასეთი კურსები საქმეს ვერ უშველის. პარტია უფრო შორს მიდის, იგი ღებულობს ზომებს ენის სწავლების ხარისხობრივად გადაჭრით გაუმჯობესებისათვის ყველა ტიპისა და ყველა საფეხურის სასწავლებლებში. თუ ყოველივე ეს ასეა, როგორც მე ვამბობ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი საერთო მუშაობა ამ დარგში მიმდინარეობს რევოლიუციური ინტერნაციონალიზმის ფარგლებში, მაგრამ არიან მწერლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ იმისათვის, რომ ენის კარგად შესწავლის საკითხი

ციონალისტი, საჭიროა წამოყენებულ იქნას „კულტურული“ ნაციონალიზმის იდეა, მაგრამ, თუ თქვენ სწორად მიგაჩნიათ პარტიის ნაციონალური პოლიტიკა, თუ თქვენ სოლიდარული ხართ ამ საკითხში ჩვენთან, ასეთი შეხედულებები უნდა უკუვაგდოთ, დავგმოთ, რადგან მათ მივყევართ შოვინიზმამდე. კომუნისტური პარტია კი სასტიკად ებრძვის შოვინიზმს, ებრძვის ყოველნაირ გადახრას ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკიდან, ებრძვის მემარჯვენე გადახრას, როგორც მთავარ საფრთხეს თანამედროვე ეტაპზე. ებრძვის ამ „მემარცხენე“ გადახვევებს.

თუ რამდენად ცდება გამსახურდია ნაციონალურ საკითხში, სჩანს იმ აზრებიდან, რომელიც მან აქ ჩვენს წინაშე განავითარა. გამსახურდია შეეცადა თავისი მოსაზრებები დაესაბუთებია მარქსის და ლენინის დებულებებით. მან განაცხადა თითქოს ლენინი სწერდა ქართველ კომუნისტებს: „ქართულ ამბავს უფრთხილდით, ქართული ინტელიგენცია სულ სხვა არის“. აქედან გამსახურდიას გამოყავს დასკვნა, რომ ქართველი ხალხი თითქოს თავისებური ხალხია, განსაკუთრებული ბუნების, სულ სხვა ბუნების ეროვნებაა, „ამას ამბობდა ლენინი, მე ლენინის მიმდევარი ვარ, ხოლო თქვენ კომუნისტები მის წინააღმდეგი“—ამტკიცებდა გამსახურდია.

ლენინს არასოდეს ის არ უთქვამს, რაც მას მიაწერა ამხ. გამსახურდიამ. ლენინი გვასწავლიდა, რომ შევექმნა ა.-კ. ხალხთა შორის ნამდვილი ეროვნული მშვიდობიანობა, მხედველობაში მიგვეღო კლასობრივი ბრძოლის თავისებური ხასიათი ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ ქართველ ხალხს განსაკუთრებული ბუნება აქვს, რომ კლასთა ბრძოლა შეიძლება მხოლოდ რუსეთში იყოს ხოლო საქართველოში კი სოციალური მშვიდობიანობა და კლასთა შორის ჰარმონიაა. გამსახურდია უფრო შორს წავიდა. როცა მოინდომა დაესაბუთებია ქართველი ერის განსაკუთრებული ბუნება. მან სთქვა, რომ დავით აღმაშენებელიც, ისევე როგორც [illegible] მეორე [illegible]

კი არ სწამდათ. ამით გამსახურდიას უნდა დაემტკიცოს, რომ ჩვენში მეფეებიც სხვანაირი ბუნების იყვენ, სხვანაირად აზროვნებდენ, სხვანაირად ჰფიქრობდენ, ვიდრე მაგ. რუსეთში. გამსახურდიას ასეთი აზროვნება ნამდვილი ნაციონალიზმია და ამ განწყობილებებს მთელის ბოლშევიკური სიმტკიცით უნდა შევებრძოლოთ.

არავინ არ ლაპარაკობს, რომ უპარტიო მწერალი ისე უნდა სწერდეს როგორც პარტიული, მაგრამ რამდენადაც უპარტიო მწერალი საბჭოთა მწერლების კავშირში იმყოფება და საბჭოთა პლატფორმაზე სდგას, მისწრაფვის მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობა, იმდენად იგი უნდა გვეხმარებოდეს მასების სოციალისტურად აღზრდაში, უნდა გვეხმარებოდეს თავისი ნაწარმოებით, თავისი მაღალხარისხიანი ლიტერატურული პროდუქციით. სწორედ ამიტომ ვაქცევთ ჩვენ უდიდეს ყურადღებას მხატვრული შემოქმედებას. თქვენი თხზულებები იკითხება ათასების მიერ. მათზე იზრდება ახალგაზრდობა და, რასაკვირველია, ჩვენ ვერავის უფლებას ვერ მივსცემთ რომელიმე ნაწარმოების სახით კონტრრევოლიუციონური აზრები გაავრცელოს ახალგაზრდობაში და საერთოდ მასებში. გამსახურდიას გამოსვლაში იყო მთელი რიგი სხვა არაჯანსაღი ნაციონალისტური მომენტებისაც. ასეთად უნდა ჩავთვალოთ, მაგალით. მისი სიტყვის ის ნაწილი, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ საქართველოში არ არის ნაციონალიზმი, ჩვენში მხოლოდ სამ კაცს გვედება ბრალი ნაციონალიზმში და მასაც ვერავინ დაამტკიცებს, რომ ეს სამი კაცი ნაციონალისტია. გამოდის, რომ თითქოს შემცდარი ყოფილა არა გამსახურდია, არამედ პარტია, როცა იგი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ნაციონალიზმის, მისი ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ საქართვ. რა თქმა უნდა ცდება არა პარტია, არამედ გამსახურდია. გამსახურდიამ ნაციონალისტური მიდგომა საკითხისადმი იმითაც გამოამჟღავნა, რომ მან არ მოიწონა აფხაზეთის დელეგატების რუსულად გამოსვლა ამ პლენუმზე. მართალია, მენშევიკები ავიწროვებდენ აფხაზებს მაგრამ რათ უნდა ხდებოდეს, ამბობდა გამსახურდია, რომ აფხაზეთის მეგრელი დელეგატები ჩვენ რუსულად გველაპარაკებოდენ. ჩვენის აზრით ასეთი მოთხოვნის წარდგენა რომელიმე დელეგატისადმი, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, მიუღებელია და დაუშვებელი. ვერავის ვერ ავუკრძალავთ იმ ენაზე ლაპარაკს, რომელზედაც მას უფრო ემარჯვება თავისი აზრის გამოთქმა.

არასაღი ნაციონალისტური მოტივი ისმოდა გამსახურდიას სიტყვებში მაშინაც როცა. იგი გამოსთქვამდა აღშფოთებას იმის გამო, რომ ერთ დროს ზოგიერთმა მოინდომეს დაბა ბაღდათისათვის მაიაკოვსკის სახელის დარქმევა. როცა საქართველოში არც ერთ სოფელს არ ჰქვია ქართველი მწერლის სახელი რატომ უნდა დაერქვას რომელიმე სოფელს რუსი მწერლის სახელიო. არსებითად ეს არ არის სწორი. ჩვენ გვაქვს სოფლები, რომელსაც ეწოდება ქართველი მწერლის სახელი. მაგალითად არსებობს სოფელი ნინოშვილი. გვაქვს სხვა ქართველი მწერლების სახ. ქუჩები. ჭავჭავაძის ქუჩა, საბასულხან ორბელიანის ქუჩა და სხვ. მაგრამ წმინდა წყლის ნაციონალისტური მოთხოვნაა, რომ სოფელს არასოდეს და არსად აღარ დაერქვას ქართველი მწერლების და მოღვაწეების სახელი. ეს იმას ნიშნავს, რომ არც მოსკოვში უნდა არსებობდეს, მაგალითად შევჩენკოს სახელობის ან რომელიმე სხვა ეროვნების მწერლის სახელობის ქუჩა. ეს აზრი ძირშივე შემცდარია.

არა სწორად აყენებენ საკითხს ამხ. ჯავახიშვილი, და გამსახურდია, როცა ამბობენ,

ერთად ვიმუშაოთ, მაგრამ თქვენ უნდა ისწავლოთ ჩვენგან, ჩვენ კი არავისგან სწავლა არ ვსაჭიროებთ. სწორია ის, რომ ახალგაზრდობა საჭიროებს სწავლას, მაგრამ გამსახურდიამაც და მასზე უფრო ხნიერ მწერლებმაც ბევრი უნდა ისწავლონ. ვისგან უნდა ვისწავლოთ? — კითხულობს გამსახურდია. — თუ გნებავთ ახალგაზრდობისგანაც, თუ თქვენ ხნიერი ხართ, ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ყველაფერში ბრძენი ხართ და მეტ ცოდნას, ვიდრე გაქვთ არ საჭიროებთ საქმე მარტო ცოდნის მარაგში კი არ არის, არამედ მის ღრმა ათვისებაში. ეხლა იქმნება ახალი ცხოვრება, ცხოვრების ყველა სფეროში მოხდა ძვრები და საფუძვლიანი გარდატეხა. საჭიროა მეცნიერული ცოდნით შეიარაღება, რომ გავერკვიოთ ახალი ცხოვრების რთულ მოვლენებში. საბჭოთა მწერალმა უნდა შეისწავლოს დიალექტიკური მატერიალიზმი. მართალია გამსახურდია აცხადებს, რომ მე მარქსიზმი გერმანიის უნივერსიტეტების სემინარებში გავიარეო, მაგრამ ის, რაც გამსახურდიამ გერმანელი ნაციონალისტებისაგან ისწავლა, დღეს აქ არ გამოდგება და მან ისე როგორც სხვებმა მარქსიზმი, დიალექტიკური მატერიალიზმი ხელახლა უნდა ისწავლონ. თუ იგი დადგება პროლეტარიატის თვალსაზრისზე, თუ იგი საფუძვლიანად გაეცნობა და შეისისხლხორცებს მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიას, მაშინ ის შესძლებს წინსვლას.

შემდეგ ამხ. ორაგველიძე ჩერდება სალიტერატურო კრიტიკის საკითხებზე და ამბობს: ლიტერატურული კრიტიკა მეტად სერიოზული უბანია სამწერლო მუშაობაში. მას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. მწერალს სჭირია სერიოზული კრიტიკა, კრიტიკა, რომელიც მას დაეხმარება ნაკლის გამოსწორებაში და ხელს შეუწყობს მის იდეურ მხატვრულ განვითარებას. უნდა ვაღიაროთ, რომ კრიტიკის დარგში ჩვენ გვქონდა და გვაქვს საგრძნობი დეფექტები. მეტად დაბალია ჩვენი კრიტიკოსთა თეორიული დონე. ზოგიერთ მწერლებს არა სწორად უდგებოდენ და აკრიტიკებდენ. ხანდახან იღებდენ არა მთელ ნაწარმოებს, რომელიც საერთოდ მისაღები იყო, არამედ მის ცალკე ადგილებს მთელ ნაწარმოებთან დაუკავშირებლად და ასე ცალმხრივად სპობდენ, ჩვენ უნდა განვიხილოთ მწერლის ნაწარმოები მთლიანად, მივსცეთ მკითხველებს ნაწარმოების მთლიანი სურათი და არა ცალკე ამოგლეჯილი თავების და ნაწილების განხილვა. კრიტიკა უნდა ავიყვანოთ უფრო მაღალ საფეხურზე. მართალია, ჩვენს კრიტიკას აქვს ბევრი ნაკლი და შეცდომები, მაგრამ საერთოდ იგი წინ მიდის. ჩვენ გვყავს ახალგაზრდა კრიტიკოსების, ნიჭიერი კრიტიკოსების მთელი ჯგუფი, რომლებიც მართალია ჩადიოდენ ზოგიერთ შეცდომებს, მაგრამ არა ისეთ შეცდომებს, რომელთა გამოსწორება არ შეიძლებოდეს. საჭიროა ახალგაზრდებმა ისწავლონ, შეითვისონ მარქსისტული ლენინური მეთოდი და მის საფუძველზე გამოასწორონ თავისი შეცდომები.

ლიტერატურის ფრონტზეც საჭიროა ნამდვილი სერიოზული, ღრმა მუშაობა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ერთი წელიწადი საკმარისია იმისათვის, რომ დაეუფლონ ლიტერატურის საკითხებს, მწერლობის ტექნიკას. ასეთი ამბავი არ ახსოვს ლიტერატურის ისტორიას. ნამდვილ მწერლად შეიძლება გახდე, თუ იმუშავებ ინტენსიურად, განუწყვეტლად არა ერთ წელიწადს, არამედ ათეულ წლებს. ამ მხრივ მეტი არ იქნება ზოგიერთ ახალგაზრდებმა მიბაძონ ზოგიერთ ძველ კვალიფიციურ მწერლებს, რომლებსაც აქვთ ლიტერატ. შრომის ტრადიცია. შრომის დიდი კულტურა. ავიღოთ [illegible] მიხ.

არ ვეხები ამ ნაწარმოების იდეოლოგიურ მხარეს ის არ არის თავისუფალი ნაციონალისტური მომენტებისაგან. მაგრამ აქ მე საკითხის მეორე მხარე მაინტერესებს. ეს ნაწარმოები, განაცხადა ავტორმა, შემეძლო 7 თვეში დამეწერაო. მაგრამ მასზე 7 წელიწადი ვიმუშავეო. ვსწავლობდი ისტორიულ ფაქტებს, ეპოქის ხასიათს, ვიკვლევდი მასალებს და ამის მიხედვით ხშირად ერთხელ დაწერილს ხელახლა ვსწერდი, სტამბაში გადაცემულ ხელთნაწერებსაც ვასწორებდიო. აქ სჩანს იმ საქმის სიყვარული, რომელსაც აკეთებ. შრომის უდიდესი სიყვარულის ნიმუშს გვაძლევს ტოლსტოიც, რომელსაც არა ერთხელ გადაუწერია და ხელახლა დაუმუშავებია თავისი საუკეთესო ნაწარმოები „ომი და ზავი“. კრიტიკის ვალია მწერალს მიუთითოს იმ საკითხის ღრმა შესწავლის საჭიროებაზე, რომელზედაც იგი სწერს. კრიტიკა უნდა ერიდოს ავტორების გადაჭარბებულ ქებას, რასაც ხანდახან ადგილი აქვს. ამით ისინი ზიანს თუ მიაყენებენ, თორემ სარგებლობას ვერ მოუტანენ მწერლებს, რადგან ხელს შეუშლიან, შეაჩერებენ მათ წინსვლას, იდეურ მხატვრულ განვითარებას.

ლიტერატურულ მუშაობის გარდაქმნის საკითხთან დაკავშირებით შევეხები თემატიკის პრობლემასაც. რასაკვირველია არავინ ჰფიქრობს შეზღუდოს თემატიკის ფარგლები, მაგრამ ძირითადი სახელმძღვანელო დებულება ამ საკითხშიაც უნდა გვქონდეს.. ჩვენ გვყავან მწერლები, რომლებიც წინანდელი, ძველი ცხოვრებით ცხოვრობენ და აზროვნებენ. ისინი ისევ უმღერიან ძველ ფეოდალურ საქართველოს, ხოტბას ასხამენ წარსულს, წარსულის განდიდებით გატაცებულნი უარყოფენ ახალს. არავინ ამბობს, რომ ლიტერატურამ გვერდი აუხვიოს ისტორიულ წარსულ და არაფერი წეროს ძველი ეპოქებიდან არა

ლება, არამედ უნდა დაიწ
ბი ძველ ისტორიულ
აქ მთავარი ისაა, თუ
რის, როგორი თვა
გის მწერალი წარ
ჩვენ გვინდა და
მა წარსული
ონური თვალსა
ტერულად და
ლი ამის პასუ
ისინი ამჯობინ
შაონ და გააშ
ჩვენთვის უცხო
შეგნებით გერდ
ბლემებს ის ვინც
ლურ საქართველო
და მისი მწერლობ
საკითხს ღრმად
მწერლები, თუ კი
სკვლილი არ სურთ.

ის უდიდესი მშენებლ
საქ. კავშ. მუშათა კლასი
კიდევ საკმაო გამოხატულე
ლობს მხატვრულ მოქმედებაში
დი არის სოციალიზმისათვის გმ
ლის პერიოდი, რომლის გად
რულ ნაწარმოებში გადააქცევს
ლიტერატურულ ფაქტად, რომელიც
თხება არა ერთ და ორ წელიწადს,
მრავალ ათეული წლების განმავლ
პარტია და მისი ცენტრალური კომ.
ქმნის პირობებს, რომ მწერლებმა ხე
ჰკიდონ ასეთი დიდი ნაწარმოებებ
მას. 23 აპრილის დადგენილება
გებს მტკიცე ბაზას მწერ
მუშაობისათვის საბჭოთა ლიტერატური
აყვავებისათვის. ასე უნდა გაიგოს მწერალთა კავშირის თვითეულმა წევრმა ამ ც
ული დადგენილების მნიშვნელობა
ტანის იქ ახელმძღვანელო
ბი თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. კულიკის ლექსი

მუშა-ქალი

მე უკანასკნელ ქაღალდს ვაწერ
ხელს სამსახურში,
საბჭოთა „ბარიშნა" და ბურჟუა
რომ დავივიწყო.
ხალამოობით ტრიკოტაჟის ფაბრიკასთან,
ვარ,
ჩემი სატრფოა — მუშა-ქალი—ლურჯ-
თვალა შურა.
ხან ველოდები გაუღიმარ სახლის
ფანჯრებთან,—
მალე იქნება საყვირის ხმა
და ცვლა ახალი.
იგი ჭიშკარში გამოჩნდება
ნელ სიარულით,
მომესალმება გაზაფხულივით.
მისი მშრომელი
და უსაზღვროთ ნაზი ხელები
მომეხვევიან დიდ ალერსით
და მზრუნველობით:
— მიემგზავრები? მიატოვე გინდა კიევი?
და განშორება
არის თითქოს შეუძლებელი.
ის მეკითხება, ომზე, შიმშილზე
და სასურსათო გადასახადზე.
შემდეგ თავისას მიამბობს იგი:

— „იცი, ჩვენთანაც
მარქსისტული წრეა შემდგარი,
მე დელეგატად არჩეული
ვარ ფაბრიკიდან".
და ცრემლებამდე ტკბილი არის
ტრფობა შენდამი,
ჩემო ლურჯთვალავ;
თუნდაც იმისთვის, რომ შენ გაქვს ჭლექი,
იმისთვისაც რომ დედა შენი მეწვრიმალეა.
იმისთვისაც, რომ წითელ ჯარში
როცა იყავი,
ბრძოლების შემდეგ
შენ ჭრილობებს სწრაფად მიხვევდი,
იმისთვისაც, რომ დაგცინოდენ
გეტმანის შტაბში,
იმისთვისაც, რომ აჯანყების
ცეცხლში იწვოდი,
როგორც კოცონი დაუქრობელი,
და არა ერთხელ
მე ვიქნები ობოლ ოცნებით—
განშორებული და ანთებული—
იმ ტრიკოტაჟის ფაბრიკაზე,
სადაც შენ შრომობ.

თარგმანი უკრაინულიდან
ვ. გაფრინდაშვილის.

გაიცნოთ მოძმე რესპუბლიკების მწერლობა

ამხ. ი. კულიკი დაიბადა 1888 წ. რევოლიუციონურ მოძრაობაში ახალგაზრდობიდანვე ჩაება — კომპარტიის წევრია 1905 წლიდან. 17 წლის კულიკი ემიგრაციაში მოექცა, თებერვლის რევოლიუციამდე ამერიკაში იყო შავ მუშად. უკრაინაში დაბრუნების შემდეგ (1917 წ.) აქტიურ მონაწილეობას იღებდა თეთრგვარდიელებთან პარტიზანულ ბრძოლებში. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. კულიკი საპასუხისმგებლო პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზეა. უკრაინის კ. პ. (ბ) ცეკას წევრია. 1924-დან 1927 წლამდე საბჭოთა წარმომადგენლობის მრჩეველია კანადაში.

ამხ. კულიკი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთი 1-ლ ორგანიზატორთაგანია. საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილების შემდეგ ამხ. კულიკი უკრაინის საბჭოთა მწერლობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა და ლიტერატურულ გაზეთის რედაქტორი. ამხ. კულიკი ამჟამად ტფილისში იმყოფება, ის მეთაურობს საბჭოთა მწერლობის საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაციას სრ. საქართ. საბჭოთა მწერლობის კავშირის საბჭოს პირველ პლენუმზე.

საბჭოთა კავშირი ამხ. კულიკს იცნობს, როგორც საუკეთესო საბჭოთა პოეტს — მხატვრულ სიტყვის შესანიშნავ ოსტატს.

შემოქმედებითი საღამო

ს. შანშიაშვილი, როგორც დრამატურგი

16 დეკემბერს საქდრამკომის თაოსნობით გამართა შემოქმედებითი საღამო **ს. შანშიაშვილის** დრამატურგიის შესახებ. საღამო გაიხსნა დრამკომის თავმჯდომარის ამხ. **ბუხნიკაშვილის** სიტყვით.

— ამ შემოქმედებითი საღამოების ორგანიზაციით,—განაცხადა ამხ. ბუხნიკაშვილმა, —საქდრამკომი მიზნად ისახავს გამოარკვიოს ჩვენი დრამატურგიის გზები და მიღწევები დღევანდელ ეტაპზე, გამოარკვიოს, თუ რა შემოქმედებითი მეთოდით მუშაობენ ჩვენი დრამატურგები, რამდენად შეითვისეს მათ დღევანდელი თემატიკა, რამდენად შეუგუეს მათ თავიანთი დრამატული ნაწარმოების ფორმა საბჭოთა თეატრის თანამედროვე ამოცანებს, მის შემოქმედებით მეთოდს. საქართველოში ჯერ ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი საფუძვლიანი შრომა, რომელიც იძლეოდეს პასუხს ამ კითხვებზე. დრამკომის მიერ მოწყობილმა შემოქმედებითმა საღამოებმა უნდა ამოავსოს ეს დიდი ხარვეზი. ამ საღამოებზე გაშლილი კრიტიკით ჩვენ უნდა დავაგროვოთ მასალა საბჭოთა დრამატურგიის განვითარების შესახებ. საქდრამკომს განზრახვა აქვს ეს მასალა დამუშავებული სახით გამოსცეს ცალკე წიგნად, რომელიც, უეჭველია, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენში მომქმედ ყველა თეატრებს იმ მხრივ, რომ დაეხმარება მათ სწორი მხატვრული გაშუქება მისცენ ამა თუ იმ დრამატიულ ნაწარმოებს სცენაზე.

დღევანდელი საღამო მიძღვნილია დრამატურგ სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებისადმი. მოხსენებას გააკეთებს ამხ. **ალი არსენიშვილი.**

ამხ. ალი არსენიშვილის მოხსენება

ს. შანშიაშვილს, როგორც შემოქმედს და კერძოდ დრამატურგს, ახასიათებს არა რეალისტური დრამა, ის არ არის დრამატურგი რეალისტი. შანშიაშვილი რომანტიული დრამის და საერთოდ მე-19 საუკუნის რომანტიკოსების გამგრძელებელია. ის ყველა თავის დროის წამოჭრილ პრობლემებს ისტორიული წარსულის სამოსელში ხვევს ისე, როგორც ეს წარსული წარმოდგენილი ჰქონდათ მე-19 საუკუნის რომანტიკოსებს. რომანტიული ნაწარმოებისათვის კერძოდ რომანტიული დრამისათვის, რომლის წარმომადგენელი არის შანშიაშვილი, დამახასიათებელია სინამდვილის გადასხვაფერება. ამ ხერხით დაწერილ ნაწარმოებთ შეიცავს შანშიაშვილის პირველი ხანის დრამატურგია, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ გაქცევას სინამდვილიდან. მაგრამ ადვილად გამოსაცნობია მსგავსება, რომელიც არსებობს იმ სოციალური წრისა და დროის იდეოლოგიის შორის, რომელსაც ეკუთვნის შანშიაშვილი და იმ იდეოლოგიურ სისტემას შორის, რომელსაც დრამატურგი იძლევა თავის ნაწარმოებში რომანტიული სახეებით. ისეთი ტიპის დრამატურგია, რომელსაც წარმოადგენს შანშიაშვილის დრამატიული შემოქმედება, ყოველთვის დამახასიათებელია დროისათვის, როცა არსებობს რაღაც იდეური გათიშვა შემოქმედებისა და სინამდვილის შორის, როცა ხელოვანი გაურბის თავისი დროის საბრძოლო ამოცანებს და თავისი დროის ანარეკლის უშუალო მოცემას, როცა მწერალი არაპირდაპირ რომანტიულ სიმბოლიური ხერხებით წარმართავს თავის იდეოლოგიას.

შანშიაშვილის პირველი დრამის დაწერის თარიღი არის 1912 წელი. ეს ის დროა, როცა 1905 წლის შემდეგ დაწყებული რეაქცია დასასრულს უახლოვდება და იწყება რევოლიუციონური ტალღის ახალი აზვირთება, იწყება წინააღმდეგობათა გამწვავება რუსეთის ყოფილ იმპერიაში; როცა ცარიზმისაგან დამონებული ერების ბურჟუაზიაში ძლიერდება ნაციონალ დემოკრატიული იდეები, ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებისათვის ბრძოლის იდეები. სწორედ ამ პერიოდში სწერს შანშიაშვილი თავის ტრილოგიის პირველ ნაწილს „უგვირგვინო მეფეებს", ნაწარმოების ფონად იღებს საკაძის დროს—საინტერესო ხანას, როცა ხდება დიდი ისტორიული გარდატეხა აღმოსავლეთის პატარა ქვეყანაში, როცა სწარმოებს ბრძოლა ფეოდალიზმისა და აბსოლუტურ ხელისუფლების შორის. ავტორი ფონად იღებს სწორედ ამ დროის და ამ დროის ისტორიულ სახეებში გვაძლევს თავისი დროისა და სოციალური წრის იდეოლოგიის ანარეკლს. მასალად შანშიაშვილი იყენებს ანტონ ფურცელაძის ცნობილ ნარკვევს, რომელიც მეტისმეტად იდეალისტურად, ისტორიულ კანონზომიერების გაუთვალისწინებლად გვიხატავს საკაძის დროს. მას, როგორც დრამატურგს მსოფლიო ომის წინადროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი სტრუქტურა გადააქვს საკაძის დროში და თავისი დრამის მთავარ მომქმედ გმირს—საკაძეს მიაწერს იმ იდეებისათვის ბრძოლას, რომლებიც ასულდგმულებს მე-19—20 საუკუნის საქართველოს ბურჟუაზიულ ფენებს. ეს იდეა გაერთიანებული საქართველოს, მთლიანი ერის იდეაა. რასაკვირველია, ერის ცნება საკაძის ეპოქაში—მე-16 საუკუნეში არ შეიძლება ისე ყოფილიყო გაგებული, როგორც ეს ესმოდა ჩვენი დროის ბურჟუაზიას. მაშინ კიდევ არ იყო წარმოდგენა ერზე, როგორც ერთი ეკონომიურ მთლიან ერთეულზე. ავტორი თავის მთავარ გმირს საკაძეს ამოქმედებს ისე, როგორც ახალი სოციალური ძალების შემკრებს და ორგანიზატორს, როგორც ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირს. ავტორი საკაძის ძირითად ამოცანად სახავს „აღადგინოს ივერია თამარ მეფისა"; ავტორი საკაძეს მონადიმრობის ეპოქაში, მომწიფებული ფეოდალიზმის ეპოქაში წამოაყენებინებს სავაჭრო კაპიტალისტური სახელმწიფოს პროგრამას, განათლებული აბსოლუტიზმის პროგრამას.

შემდეგ საფეხურს ჩვენი დრამატურგიის განვითარებაში წარმოადგენს თავისი რომანტიულობით პირველ დრამაზე უფრო ტიპიური დრამატიული ნაწარმოები „ბერდო ზმანია". ამ ნაწარმოებს ავტორი უწოდებს „ადამიანის ტრაგედიას". ამ დრამაში ავტორის მოქმედება გაშლილი აქვს და „ხალხიც" წარმოდგენილი ჰყავს ისტორიის კარეში. მომქმედი პირები (დე-დია სული დედამიწისა, ფონფატუმ, ტურფა, ენები, [illegible]სია—მარადი ქალობის იდეა) შექმნილი არიან გერმანული მეტაფიზიკის გავლენით. დრამაში მომქმედი ძალებიც—სიკვდილი, ქარი, გრიგალი, ცეცხლი და ბუნების სხვა სტიქიონები განყენებულ - რომანტიულ დრამის ტიპიურ აქსესუარებს წარმოადგენენ. ისე როგორც ევროპაში ნიცშეანიზმი და მეტერლინკის სიმბოლისტური დრამატურგია, სამრეწველო კაპიტალიზმის ანარეკლს წარმოადგენს შანშიაშვილის „ბერდო ზმანიაც" ამ სამრეწველო კაპიტალიზმის არა პირდაპირი ანარეკლია. ამ დრამაში პირდაპირ არის აღიარებული დუალიზმი, სინამდვილისა და აზროვნების გაყოფა, ერთი მეორისაგან დაცილება, გაორება (მე და არამე). ეს დრამა გვეუბნება, რომ სინამდვილე არის იდეალური სამყაროს უხეში ანარეკლი; სხვანაირად რომ ვსთქვათ, მასში მოცემულია ანტიური პლატონის იდეალისტური აზროვნება და ამ ანტიური ფილოსოფიის ვარიაცია. ეს ფილოსოფია გამოხატავს იმ კლასების გაორებულ შუალედ მდგომარეობას, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებამ ტრაგიკულ პირობებში ჩააყენა. ამ ფილოსოფიაზე დაყრდნობილი „ბერდო ზმანია" წვრილ ბურჟუას ტრაგედიაა.

რას წარმოადგენს „ბერდო ზმანია", როგორც დრამატიული ნაწარმოები? იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სცენიურ მოქმედების დრამად. მას დიდ დაღათ აზის მწიგნობრული გავლენა — ლიტერატურშჩინა. შანშიაშვილი თავის შემოქმედებით უმთავრესად ლირიკოსია. ამიტომ ეს დრამაც მისი ლირიკის გაგრძელებაა. დიალოგი ამ დრამაში მიზნად არ ისახავს მოქმედებების ერთი მოტივაციით დაკავშირებას. დიალოგი დრამაში ერთგვარი თვითმიზნური საკითხავია. იგი ლირიკის გავრცელებაა. თქვენ, რომ წაიკითხოთ შანშიაშვილის იმ დროის ლირიკული ლექსები, აღმოაჩენთ იმავე განწყობილებას და სულისკვეთების საწყისებს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ „ბერდო ზმანია"-ში. როგორც ლირიკაში ისე დრამატიულ ნაწარმოებში შანშიაშვილი გამოხატავს თავისი კლასის შუალედობის მწუხრს და აღსასრულის სევდას.

თანამედროვე სინამდვილისაგან გაქცევის ტენდენციით აიხსნება აგრეთვე ის, რომ ჩვენი ავტორი ერთ-ერთი თავის დრამის „სპარტაკის" ფონად იღებს შორეულ წარსულს., გლადიატორების აჯანყების ამბავს რომში. ასეთი შორეული ისტორიული სინამდვილის აღდგენა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე ახლო წარსულის; ამიტომ შანშიაშვილის ეს დრამა არა თუ მაშინდელი სინამდვილის გამოსახვას წარმოადგენს, არამედ იგი ისტორიული წყაროების სწორი ანარეკლიც არაა. დასაშვებია, რომ ისტორიულ დრამაში არ იყოს დაცული სიზუსტე, მაგრამ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ სინამდვილეს, რომელიც მეცნიერულად არის დადგენილი. ავტორი ვერ აცდა სპარტაკის სახის იმ დამახინჯებას, რომელიც ამ გმირმა განიცადა სხვადასხვა ისტორიულ რომანებში. პიესის ცენტრად ავტორს აღებული აქვს ამ გმირის პირადი თავგადასავალი, მისი სიყვარულის ამბები და პიროვნული დრამის სხვა ასეთი აქსესუარები.

დრამატურგი სპარტაკს მიაწერს კლასობრივი მტრისადმი შურისძიების გრძნობას, მაშინ, როცა ნამდვილად სპარტაკი ამ თვისებას მოკლებული იყო, რასაც ადასტურებს ისტორიკოსი სალუსტი, რომელიც გადმოგვცემს, რომ დამარცხების შემდეგ სპარტაკის ბანაკში ნახეს 3 ათასი ტყვე—რომის წარჩინებულნი, თუმცა რომის იმპერიისა და მაშინდელ მსოფლიოს სოციალურ სინამდვილის მიხედვით სპარტაკს არ ჰქონდა ბოლომდე გარკვეული სამოქმედო პროგრამა ხელისუფლების აღების მეორე დღისათვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სპარტაკი არ იყო ცეზარისტული ზრახვების მატარებელი, როგორც ამას გვიხატავს დრამატურგი.

1916 და 1924 წლებს შუა ავტორს დაწერილი აქვს დრამა „ლატავრა", რომელიც ტიპიური განყენებული რომანტიული დრამაა. ამ ნაწარმოებში პოეტი მიზნად ისახავს „პიესის კოლორიტი არ მოემწყვდიოს რომელიმე ეპოქის ჩარჩოში, რათა იგი ქმნიდეს მომავლის ილუზიას". —

დრამა იძლევა არა მომავლის, არამედ წარსულის ილუზიებს. ამ ნაწარმოებში მოცემულია რაღაც იქს ქვეყანა, გამოუცნობი ქვეყანა, სადაც მეფობს და მოქმედობს ლატავრა. მაგრამ ეს უცნობი ქვე-

(დასასრული მე-4 გვ.)

ამხ. ბეს. ჟღენტის მოხსენება

მედებითი საღამოების გამართვა, ლიტერატურული კონსულტაციები და სხვ.) კავშირმა აუცილებლად იქაც უნდა გადაიტანოს. ავტონომიურ და სარაიონო ორგანიზაციებისათვის უნდა შეიქნას მუშაობის ნორმალური პირობები.

რესპუბლიკის ძირითად რაიონებში ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ სალიტ. ორგანიზაციები, ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებთან უნდა მოეწყოს კომიტეტები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ რაიონებში ლიტ. მუშაობას. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის და საბჭოს პლენუმის მორიგ სხდომებზე სისტემატიურად უნდა მოვისმინოთ სპეციალური მოხსენებები ნაცუმცირესობათა სექციების და რაიონების სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, რათა უფრო მეტი საშუალება გვექნეს შევჩერდეთ თვითეულ მათგანზე და ყოველ მხრივ შევისწავლოთ და გამოვარკვიოთ ცალკე სექციების და სარაიონო სალიტ. ორგანიზაციების საქმიანობა და მისი შემაფერხებელი მიზეზები.

ჩვენ მოგვიხდება აგრეთვე მჭიდრო კავშირი დავამყაროთ საკავშირო ორგკომიტეტთან და მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურულ - სამხატვრო ორგანიზაციებთან.

სალიტერატურო კრიტიკის მაღალი ხარისხისათვის

შემდეგ მომხსენებელი ეხება კრიტიკის მდგომარეობას და ამბობს: ჩვენი კრიტიკა ვერ აძლევდა საბჭოთა მწერლობას სწორ ორიენტაციას, პირიქით მას მწერლობაში შეჰქონდა ერთგვარი დაბნეულობა, ხელს უწყობდენ მის ძალთა დაქსაქსვას, მის დისკრედიტაციას. საბჭოთა მწერლობის, კერძოდ, სალიტ.-კრიტიკის წინაშე უდიდესი საკითხები სდგას. მთელი რიგი ცნებები ხელახლა უნდა იქნას გადასინჯული და გარდაქმნილი. ცნება — თანამგზავრი მოკავშირე საჭიროებენ კარდინალურ რევიზიას. ეს ტერმინები შეიძლება სრულიად მიუღებელი გამოდგეს ახალ ეტაპზე. ჩვენი კრიტიკა იცავდა აგრეთვე დიალექტიური მატერიალიზმს მეთოდის მხატვრულ შემოქმედებაში. მაგრამ გამოირკვა, რომ დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდი არ შეიცავს არავითარ კონკრეტულ სპეციალურ გამასხვავებელ თვისებას, საჭიროა ამ დებულების პრინციპიული გაშუქება, თეორიული დასაბუთება. ეხლა ლაპარაკია სოციალისტურ რეალიზმზე და რევოლიუციონურ რომანტიზმზე. მაგრამ შეიძლება ეს ლოზუნგებიც გადაიქცენ არაფრის მთქმელ აბსტრაქტიულ სქოლასტურ ფრაზად, თუ მაში არ შევიტანეთ გარკვეული კონკრეტული შინაარსი. ეს კი მოითხოვს, გავშალოთ სერიოზული მეთოდოლოგიური მუშაობა, მოვახდინოთ ყველა ჩვენი თეორიული ძალების მობილიზაცია. პირველ ყოვლისა გავაბათ მჭიდრო კავშირი სამეცნიერო დაწესებულებებთან, კერძოდ მარქსიზმ - ლენინიზის ინსტიტუტთან, თუ მათთან ჩვენ მჭიდრო კონტაქტი არ გვექნა, შეუძლებელი იქნება ნაყოფიერი მეთოდიური მუშაობის წარმოება. ნამდვილ მარქსისტულ - ლენინურ თეორიაზე დამყარებულ კრიტიკის გარეშე ვერ შევქმნით იმ დიდ ლიტერატურას, რომელიც სოციალიზმს შეეფერება.

ჩვენ თანაბრად უნდა ვიბრძოლოთ როგორც მაღალ ხარისხოვანი მხატვრული შემოქმედებისათვის, ისე არანაკლებ ხარისხოვანი სალიტ. კრიტიკისათვის, რადგან რევოლიუციური თეორიის გარეშე არ არსებობს რევოლიუციონური პრაქტიკა, როგორც ამას ლენინიზმი გვასწავლის. კრიტიკის საკითხებზე მწერალთა კავშირმა მთელი აქტივის მონაწილეობით სისტემატიურად უნდა გამართოს სპეციალური თათბირები.

კავშირი ხელოვნების მოსაზღვრე დარგებთან

ჩვენმა პლენუმმა უნდა დაავალოს ხელმძღვანელ ორგანოს აქტიური მონაწილეობა მიიღოს აგრეთვე მხატვრული მწერლობის ყველა მოსაზღვრე ხელოვნების განვითარებაში. საჭიროა დამყარდეს უფრო საქმიანი ურთიერთობა მხატვრობასთან, თეატრთან, მუსიკასთან, კინემატოგრაფიასთან, მათ მუშაობაში მწერლობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, რადგან ლიტერატურა ხელოვნების ამ დარგებთან ერთად შეადგენს ერთს საერთო ფრონტს.

ჩვენ ბოლო უნდა მოუღოთ იმ მედიდურ დამოკიდებულებას, რომელსაც ხელოვნების ამ დარგების მიმართ იჩენდა პროლეტ. მწერალთა ყოფილი ასოციაცია. ხელოვნების ყველა რაზმებს შორის უნდა დამყარდეს საქმიანი თანამშრომლობა და პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით საბჭოთა მწერლობის კავშირმა უნდა გადასდგას.

მომავალი მუშაობის კონკრეტული პროგრამა

დასასრულ მომხსენებელი პლენუმს აცნობს მწერალთა კავშირის კონკრეტულ სამუშაო პროგრამას.

ზემოთჩამოთვლილ კონკრეტულ ამოცანებსა გარდა, პროგრამა ითვალისწინებს მასიურ სალიტერატურო საწრეო მუშაობის გაშლას, მწერლების მონაწილეობას პოლიტიკურ სამეურნეო კამპანიებში, საკლუბო მუშაობის აყვანას მაღალ საფეხურზე, მწერალთა მუზეუმის მოწყობას, სალიტერატურო ფონდის ორგანიზაციას და სხვ.

ამ პროგრამის საფუძველზე, ამბობს მომხსენებელი, კავშირის პრეზიდიუმმა უნდა დაამუშაოს უფრო კონკრეტული კალენდარული გეგმა, ხოლო პლენუმმა კვარტალურად უნდა შეამოწმოს ამ გეგმის განხორციელება. ამიტომ საჭიროა პლენუმმა ყოველმხრივ აწონ-დაწონოს წარდგენილი პროგრამა და პრეზიდიუმს მისცეს ნამდვილი რეალური გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედება კავშირის მომავალ მუშაობას.

პლენუმის დღიური

პლენუმი გაიხსნა 25 დეკემბერს საღამოს, ხელოვნების სასახლეში.

პლენუმს დაესწრო საბჭოთა მწერლების სრ. საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია ამხ. **კულიკის, ს. ამაღლობელის და მ. იურინის** შემადგენლობით.

პირველ სხდომაზე პლენუმმა მოისმინა სრ. საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლის (უკრაინის საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის) ამხ. კულიკის მოხსენება სრ. საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის პირველი პლენუმის შედეგების და საბჭოთა ამოცანების შესახებ.

ამავე სხდომაზე საქ. საბჭოთა მწერლობას მიესალმა სომხეთის საბჭოთა მწერლების წარმომადგენელი ამხ. **დემირჩიანი** და მგ. წითელი არმიის ქართული ნაწილების პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. მიროტაძე, რომელმაც საბჭოთა მწერლობის წინაშე დასახა მთელი რიგი ამოცანები ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

26 დეკემბრის საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ბ. ჟღენტის მოხსენება მწერალთა კავშირის მუშაობის და ამხ. ნ. მიწიშვილის მოხსენება მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობის და მწერალთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესახებ.

27 დეკემბრის დილის სხდომაზე თანამოხსენებით გამოვიდნენ ქუთაისის ლიტორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. დ. ჩიანელი აჭარისტანის მწერალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. ლორია, საქ. მწერალთა კავშირის სომხური სექციის წარმომადგენელი ამხ. ატრიანი, თურქული სექციის ამხ. ასკერი და რუსული სექციის ამხ. გრებენშჩიკოვი.

27 დეკემბრის საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის ამხ. გრიგოლიას თანამოხსენება და ამხ. ბ. ჟღენტის მოხსენება საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მომავალი მუშაობის შესახებ.

27 დეკემბრის საღამოს სხდომაზევე ყველა [illegible] გარშემო დაიწყო კამათი, რომელიც გაგრძელდა 31 დეკემბრამდე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: მ. ჯავახიშვილმა, შ. დუდუჩავამ, კ. მელაძემ, ს. კლდიაშვილმა, ლ. მეგრელიძემ, ჭკადუამ (აფხაზეთი) ვ. გორგაძემ, შ. იურინმა (საკ. ორგ. კომიტეტი), მალაზონიამ (აჭარისტანი), კ. ბობოხიძემ, დ. სულიაშვილმა' დარბინიანმა (სომხური სექცია); გ. ბააზოვმა; პ. სამსონიძემ; რ. ჭალაძემ; კ. ქიქინაძემ; გ. ტაბიძემ' კ. გამსახურდიამ; ალი არსენიშვილმა; დ. ჩიანელმა (ქუთაისი); ს. ხიდირთაველმა; მ. ჩიქოვანმა; დ. ჯანელიძემ (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი); შ. რადიანმა' დ. დემეტრაძემ; პ. კალაძემ; ს. ჩიქოვანმა; ი. ლისაშვილმა' საფო მგელაძემ; კ. ხობისპირელმა (ქუთაისი); ს. შანშიაშვილმა; კ. ლორთქიფანიძემ; ვ. ჟურულმა; ჯიბლაძემ; ალ. სულავამ; დ. შენგელაიამ; ს. ამაღლობელმა' ყ. გაწერელიამ; ნ. ზომლეთელმა' ს. ერთაწმინდელმა; კ. ჩერნიავსკიმ; სიმ. ხუნდაძემ; ლ. ასათიანმა; ტ. ტაბიძემ; ს. თავაძემ, ი. მჭედლიშვილმა და ირ. აბაშიძემ.

29 დეკემბრის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. კულიკი; ხოლო 30 დეკემბრის საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ.პ. (ბ)-ის ც.კ.-ის კულტპროპგანყოფილების გამგემ ამხ. კ. ორაგველიძემ.

პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც შესდგა 31 დეკემბერს საღამოს, მომხსენებელთა საბოლოო სიტყვებს შემდეგ მიღებული იქმნა რეზოლიუცია გაკეთებულ მოხსენებათა მიხედვით.

სერგო ამაღლობელი

მიხვევ მოხვევით,

გამრუდებულად და ოლრო-ჩოლროთ

(ნ. მიწიშვილის წერილის „ახალი ეტაპისათვის ქართულ ლიტერატურაში"-ს შესახებ)

ოლეშას დრამის გმირი-ქალი გონჩაროვა ორ სიას ადგენს: საბჭოთა ხელისუფლების დანაშაულობათა და ამავე ხელისუფლების კეთილ საქმეთა სიებს.

მუდმივი დაეჭვება, ორ სიათა შორის მერყეობა, გარკვეულობას და სიმტკიცეს მოკლებული პოზიცია, ურთიერთ მოპირდაპირე ორი სამყაროს თაყვანისცემა, ბოლოვდება დრამის გმირი-ქალის მარცხითა და განადგურებით.

ნ. მიწიშვილი არაფრით არ ჩამოგავს გონჩაროვას თუ არა მით, რომ ნ. მიწიშვილი ოლეშას დრამის გმირი ქალივით სასოწარკვეთილებით შესცქერის საბჭოთა სოციალისტური კულტურის შექმნას და ამ გარდაქმნისათვის ბურჟუაზიულ კულტურის საუკეთესო მიღწევათა გამოყენებას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მიწიშვილი გონჩაროვას განწყობილებათა ზღვარს აქეთ არის —ჩვენსკენ საბჭოთა სინამდვილისაკენ. ნ. მიწიშვილი საბჭოთა მწერლობის მოწინავე რიგშია, საბჭოთა გამომცემლობის გულდადებული და მუყაითი მუშაკია და ვიმედოვნებთ უსაფუძვლო ეჭვების დაძლევით სამწერლო დაზგასთან იმედიანობით გულსავსე და საბჭოთა სინამდვილისაგან შთაგონებული ხალისით მოვა.

ოლეშას დრამის გმირი-ქალი საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობაზე ორ სიას ადგენდა. მიწიშვილს მხოლოდ ერთი სიის— პროლეტარულ მწერლობის დანაშაულებრივ საქმიანობის სიის შედგენისათვის მოუკიდა ხელი. თანაც დასძენს: „ისტორიის ცოდნა საერთოდ არ არის ზედმეტიო". მართებული თქმაა—არა თუ ზედმეტი, საჭიროც არის, მაგრამ ოლეშას დრამის გმირი-ქალის გაცალმხრივებული მეთოდით ისტორია ვერ გაშუქდება, პირიქით, უთუოდ გაყალბდება.

ყალბად გაგებული ისტორია გამრუდებული პოლიტიკის საფუძველია, გაყალბებული ისტორია მუდამ ხელს შეუშლის სოციალისტური საქმიანობის სწორი გზით წარმართვას. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის უხეშ შეცდომათა სია, რაგინდ ზედმიწევნით [illegible] იგი შედგენილი ვერ აუხსნის საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილების პოლიტიკურ აზრს.

[illegible] გამოიწვია 23 აპრილის დადგენილება [illegible] პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია [illegible] რიგ წლების განმავლობაში ებრძოდა [illegible] მოვლენებს საბჭოთა კულ[illegible] ლიტერატურის ფრონტზე, იბ[illegible] პროლეტარული მსოფლმხედველო[illegible] [illegible] ხელს უწყობდა [illegible] ძალთა გაერთიანებას, პო[illegible] და მხატვრულად ასრულებდა [illegible] როლს, საბჭოთა ხელისუფლების [illegible] გამარჯვებამდე ძლევამო[illegible] [illegible] გამოწვეულმა მიღწევე[illegible] ამოცანებით [illegible] ეკონომიურ და [illegible] კონტრრევოლიუ[illegible] [illegible] ანტი[illegible] მუშაკ[illegible] [illegible] ტექნიკურ [illegible]

რულ მწერალთა ასოციაციის ფარგლები ვიწრო აღმოჩნდა ამ ახალი პროცესის განვითარებისათვის. კიდევ მეტი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებს მხედველობიდან გამორჩათ ამ პროცესის არსებობა, ვერ გამონახეს ახალ პროცესთან შეგუებული ფორმები საბჭოთა მწერლობის ხელმძღვანელობისათვის, ვერ შეასრულეს პარტიის მთელი რიგი მითითებანი.

ამიტომაც პარტიამ გააუქმა პროლეტმწერალთა ასოციაციები და მით შექმნა პირობები საბჭოთა მწერლობის კონსოლიდაციისათვის. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელიც საბჭოთა პლატფორმაზე მდგარ ყველა მწერლებს აერთიანებს, უკვე ჩამოყალიბდა. მას ხელმძღვანელობს მწერალთა ყრილობის მიერ არჩეული ორგანოები, მწერალთა კომუნისტური ფრაქცია.

ისტორიის ცოდნა აუცილებელია. წარსულ მუშაობის შეცდომათა მხილებაც საჭიროა, მაგრამ მხოლოდ შეცდომათა რეგისტრაცია ისტორიის შესწავლის მეთოდათ როდი გამოდგება. ასეთი მეთოდი რევანშისაკენ მისწრაფებულთა მეთოდია. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მიწიშვილი ეკუთვნის სარევანშოთ გამზადებულ ჯგუფს, მაგრამ თავის წერილით ის უთუოდ საზრდოს აწვდის რევანშისაკენ მისწრაფებულთა სულის კვეთებას.

ნ. მიწიშვილი სწორათ აღნიშნავს, რომ ცეკას 23 აპრილის დადგენილება „საკმაოთ ჯერაც არ არის დამუშავებულიო". იქვე დასძენს:

„ორგანიზაციული ფორმები მწერალთა შორის მუშაობისა ჩვენ მართლაც რომ ერთი დაკვრით შევცვალეთ, და კარგადაც ვქენით, მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ ვერ ავავსეთ საჭირო იდეური შინაარსით და ფსიქოლოგიური გარდატეხა მწერლობის ფართო წრეებში ჯერ კიდევ ვერ მოვახდინეთ".

ნ. მიწიშვილი სავსებით მართალია. ცეკას 23 აპრილის დადგენილება, რა თქმა უნდა, დღემდე საკმაოდ არ არის დამუშავებული, ისიც ცხადია, რომ მწერალთა ფართო წრეებში ფსიქოლოგიური გარდატეხა ჯერ კიდევ საბოლოოთ ვერ მომხდარა. ან როგორ უნდა მომხდარიყო ეს ასე სწრაფად, სადაც გამძაფრებული ჯგუფობრიობა განსაკუთრებულ მახინჯ ფორმებს ღებულობდა. სხვა საკავშირო რესპუბლიკებში ჯერაც საორგანიზაციო კომიტეტები განაგრძობენ მუშაობას, რომელთა მიზანია ცეკას დადგენილების ნიადაგზე ისეთი ძირითადი გარდატეხის მოხდენა, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა მწერლების კავშირის ჩამოყალიბებას. ნ. მიწიშვილს ზოგჯერ სჩვევია სიტყვის სწორად და მართებულად თქმა, მერე შემობრუნდება, თავის გამოჭედილ სიმართლეს გაექცევა და იტყვის მრუდეთ და მახინჯათ. ამ შემთხვევაშიაც ასე იქცევა, ორი საწინააღმდეგო აზრის ერთ წერილში მოთავსებას ახერხებს:

„ასეთი ატმო[illegible] შემოქმედების აზროვნ[illegible] [illegible] დაახლოვების და [illegible]ლეში დღესაც არაა შექმნილი და ზოგ შემთხვევაში კი მწერალთა ცალკეული ჯგუფები თითქოს უფრო განცალკევებული და განმარტოებული არიან, ვიდრე ეს იყო აპრილამდე. ამავე დროს ეს ჯგუფები ვერც საერთო ორგანიზაციით არიან შემჭიდროვებული და ამ ორგანიზაციის განმტკიცებით დაინტერესებულნი".

აქაც როგორც ხშირად ორი მიწიშვილია ჩვენს წინაშე ერთი სახელით და ორი სახით, ერთი გვარით და ორი ურთიერთთან შეუთავსებელი აზრით. ერთი ამბობს: ცეკას დადგენილება **ჯერ კიდევ საკმაოდ** არ არის დამუშავებულიო, მუშაობა დავიწყეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ავავსეთ საჭირო იდეური შინაარსითო, გარდატეხა დაიწყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მომხდარიო. მეორე მიწიშვილი ჯიქურ აცხადებს: ზოგ შემთხვევაში მწერალთა ცალკე ჯგუფები (მაშასადამე მწერალთა ცალკე ჯგუფები ისევ არსებინად განაგრძობენ არსებობას?) უფრო განცალკევებულნი და განმარტოებულნი არიან, ვიდრე ეს იყო აპრილამდიო. მეორე მიწიშვილისაგან ვტყობილობთ, რომ ცეკას 23 აპრილის დადგენილება არა თუ საკმაოდ არ დამუშავებულა, არამედ მისი დამუშავება არც კი დაწყებულა, აღარც დაწყებული მუშაობა სჩანს და არც გარდატეხისათვის მიქცეული ძალღონე. ჯგუფობრიობის დაძლევა კი არა მწერალთა შეკავშირების საქმეს ზოგ შემთხვევაში ჯგუფობრიობის გამძაფრებისაკენ უქნია პირი. ცალკე ჯგუფები კიდევ უფრო განცალკევებულან და განმარტოებულან, საბჭოთა მწერლობის კავშირი ცალკე ჯგუფების შემაკავშირებელ ძალათაც ვერ ქცეულა.

რომელ მიწიშვილს უნდა დაუჯეროთ და ერწმუნოთ პირველს თუ მეორეს? აქედან აშკარაა, რომ მიწიშვილში ჯერ კიდევ არ მომხდარა „ფსიქოლოგიური გარდატეხა" მისი წერილები ჯერ კიდევ ვერ ავსილა „საჭირო იდეური შინაარსით", მის სიტყვებს ვერ მოუშლიათ საბჭოთა მწერლისათვის შეუფერებელი საქციელი—წაღმა უკუღმა დგომა, „იყო და არა იყო რა"-ს სტილით თავის შექცევა, **იყო** ცეკას 23 აპრილის დადგენილება, **არა იყო რა** ამ დადგენილების ზეგავლენაო.

თავის წერილში ნ. მიწიშვილი საკუთარ ლიტერატურულ პოზიციას არკვევს. ეს პოზიცია ლიტერატურულ აწმყოსადმი უიმედოებითა და სასოწარკვეთილებით არის მოცული. ძველ მწერლობას განწირულად სთვლის:

„ამ მწერლობის წარმომშობი სოციალური და ინტელექტუალური ფაქტორები ვერ ჰქმნიან საბჭოთა პირობებში შესაძლებლობას, რათა ძველი მწერლობის მხატვრული შემოქმედება [illegible] შეუსისხლხორცდეს თანამედროვე [illegible] კომუნიზმის საქმეს".

მიწიშვილს ახალ პროლეტარულ მწერლობაზედაც ხელი ჩაუქნევია:

„რომ დღევანდელი პროლეტარული მწერლობა საკმაოდ ღარიბია მაღალხარისხოვან [illegible] დებულება ძირითადში სინამდვილეს შეეფერება და არაა სადავო".

ასეთ „უდავო" დებულებათაგან შეიარაღებული ნიკოლო ჰამლეტის შავ მოსასხამში გახვეულა, ეჭვების უფსკრულის პირად მიმდგარა და დანიის პრინცის სიტყვებს ტრაგიკულად იმეორებს: „ყოფნა არ ყოფნა საკითხავი აი ეს არის". ამ საკითხავს კიდეც უპასუხებს:

„თუ ძველი მწერლობა ვერ გახდა უარყოფითი ტიპს და მისი იარაღი უძლური გამოდგა ახალი ცხოვრების მშენებლების ასახვაში, ახალი მწერლობა, თავის დაუნებურად, ამ ძველის ტყვეობაში მოექცა და ამ გარემოებამ ახალი მწერლობაც ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, როცა ნანადირევი შინ ბევრი მოგიტანია, ხურაზე კი ვერ დამჯდარხარ".

ასეთი უხასიობის ნანადირევით მეტად გაძნელდება საბჭოთა მწერლობის კავშირსა „შინ" ყოფნა. რა ბლომათაც არ უნდა მოზიდოს, „შინ"—ლიტერატურაში, მწერალმა სასოწარკვეთილების თოფით დახოცილი იმედიანობა, რჩანაყარი სიხალისის ნამკვდარევი, ეს მას საბჭოთა მწერლობის დაზგასთან ადგილს ვერ გაუჩენს.

ნ. მიწიშვილის აზრით „ძველი მწერლობა" უძლურია ახალი ცხოვრების მშენებლობის ასახვაში. „ახალი მწერლობა" კი ამ ძველისა და უძლურის ტყვეობაშია და მისგან აბა რა კარგს უნდა მოველოდეთ. მაგრამ საქმე არც ისე უიმედოა. ეს ორთაგან ერთ-ერთი მიწიშვილის აზრია, მეორე მიწიშვილის მეორე აზრი პირველი მიწიშვილის აზრს უეჭველია ჩვეულებისამებრ ვერ დაეთანხმება და მართლაც:

„და აქ უნდა ვთქვათ, რომ ახალ მწერლობას თავისი გარკვეული გზა აქვს: სადაც ძველი მწერალი შეკრთა და შეჩერდა, სადაც მას საქმის და, რაც მთავარია, შედეგის შეეშინდა,—იქ ახალმა, პროლეტარულმა მწერლობამ ეს გზა განაგრძო. სოციალიზმის პირობებში, დღევანდელ პირობებში ეს გზა არ შეიძლება იყოს სხვანაირი, ვიდრე გზა რეალური სიმართლისა".

მე არ ვიტყვი, რომ პროლეტ. მწერალს **ეს სიბრძნით მოუვიდა,** მაგრამ ამ გზის თუნდაც **თვალდახუჭულად გაგრძელების ფაქტი იყო სიბრძნე იმ ახალი კლასისა, რომელმაც თავისი მწერლობა უნდა შექმნას.**

„ამ კლასის სიბრძნემ შექმნა ეს მწერლობა და იგი ზრდის მას".

პირველი მიწიშვილი „გვაჯერებს"—ძველი მწერლობა უძლურია ახალ ცხოვრების ასახვაში, ახალი მწერლობა ამ ძველისა და უძლური მწერლობის ტყვეობაში მოექცა. ძველმა მწერლობამ ვერ შესძლო თანამედროვე იდეებთან და კომუნიზმის საქმესთან შესისხლხორცება. ძველი მწერლობის ტყვეობაში მოყოლილი ახალი მწერლობა ღარიბია მაღალხარისხოვანი შემოქმედების ფაქტებით—ეს უდავოა „გვარწმუნებს" პირველი მიწიშვილი.

და იქვე ამ „უდავო" დებულებას მეორე მიწიშვილი [illegible] და ეხლა სულ საწინააღმდეგო ამბებში უნდა დაგვაჯეროს, [illegible] მწერლობას, თურმე ნუ იტყვით თავის გარკვეული გზა ჰქონია, სადაც ძველი მწერლობა შეკრთა და შეჩერდა, სადაც მას საქმის და რაც მთავარია შედეგის შეეშინდა, იქ ახალმა პროლეტარულმა მწერლობამ ეს გზა განაგრძო (მეორე მიწიშვილის [illegible] ახალი მწერლობამ ძველის და უძლური მწერლობის ტყვეობისაგან [illegible] თავისუფ[illegible] [illegible] მაგრამ ეს თურმე [illegible] მწერლობას სიბრძნით არ მოსვლია (?) ეს იყო სიბრძნე ახალი კლასის, რომელსაც თავის მწერლობა უნდა შეექმნა.

„სიცრუის ჩანგლით შენ დაიჭერ სიმართლის თევზსა
ვისაც გონება გვიჭრის ყველა ასე ვიქცევით;
მიხვევ-მოხვევით, გამრუდებულ ოლრო-ჩოლრო გზით,
სწორს და პირდაპირს კვალს მივაგნებთ".

პოლონიუსი ასე განასწავლიდა რეინალდოს. ნ. მიწიშვილიც ამ სიბრძნის გზას შედგომია და „მიხვევ-მოხვევით, გამრუდებულ ოლრო-ჩოლრო გზით" ცდილობს მიუვალს მიუდგეს და „სიმართლის თევზი" დაიჭიროს.

ასეთ მიკიბულ-მოკიბული აზროვნება კარგს არაფერს უქადის მწერალს. ამ ოლრო ჩოლრო გზით გამრუდებული სიტყვების გაშვება სახიფათოა. თვითეულ მათგანს მოსალოდნელია, რომ საბჭოთა მწერლობის [illegible] ბილიკზე გადაუცდეს ფეხი და ჩვენს მტრებთან ერთად უფსკრულში გადაცვენით კისერი და კინჩხი მოიმტვრიოს.

სად უნდა მოვძიოთ მიწიშვილის ამ გამრუსთაველიც; თუ ის ჩვენი ხოვრებიდანაა

„იქნება საქართველო წარსულში გამართლოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლოჯებოდა ყოველი მხრიდან. მაგრამ ჯვრისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს და სადაა ეს კურთხევა?

ორი ათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებიდანაა უთუოდ გაუგებრობაა ის; თუ არა და— ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე".

ასე სწერდა ნ. მიწიშვილი 1922 წ. სტამბოლში და ეხლა დაბეჭდა 1927 წ. ტფილისში გამოცემულ წიგნაკში. ჩვენ სრულიადაც არ გვეხალისება წარსულის მიხედვით ნ. მიწიშვილის გაზრდილებას მივყოთ ხელი. ჩვენ ჩვეული ვართ, ამა თუ იმ მწერლის აზროვნება ყოველთვის მის განვითარებაში განვიხილოთ, ამა თუ იმ მწერლის აწმყო ნააზრევის ახსნას მისი წარსულის ნაფიქრი მოვაშველოთ. და თუ მართლაც ამ თვალით გადავხედავთ მიწიშვილის ნაფიქრსა და ნააზრევს (მათ შორის მის უკანასკნელ წერილსაც), თქვენს წინ გადაიშლება **იმედგაცრუებული ნაციონალისტის აზროვნების ნარჩენები.** ამ ნარჩენებით მიწიშვილს თავი მოაქვს, თავს იწონებს, შემომხედეთ რა რიგ ვიწვი ვიტანჯებიო, ჩემს ტანჯვაში ქართველი ინტელიგენციის ტანჯვის სურათი მოსჩანსო, ჩემით—როგორც დოკუმენტით შეისწავლება ინტელიგენციის სულისკვეთება და ტკივილებიო. ნახეთ, რა ორიგინალური და განუმეორებელი და გაბედული პოზა მაქვსო.

პოზას ის მიმართავს ვისაც თავის სახე ეკარგება.

გამბედაობაზე ის ლაპარაკობს, ვისაც შიში აუტანია.

წამებულის გვირგვინს ის ეტანება, ვისაც გამარჯვების იმედი დაუკარგავს.

საბჭოთა მწერლობა არ არის პოზის მწერლობა, მას თავის სახე აქვს, მას არ სჭირია გამბედაობაზე ყვირილი, მხატვრულ შემოქმედებაში მას შიში ვერ მოერევა, რათ სჭირია მას წამებულის გვირგვინი, როდესაც იგი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე [illegible]

მიწიშვილის აზროვნება ნაციონალური კარჩაკეტილობით არის შეზღუდული. მისთვის ძველი და ახალი მწერლობის ბრძოლა ლიხს აქეთა და ლიხს იქით ხდება. კავკასიონის ქედს იქით და შავ ზღვის გადაღმა რა ხდება ეგ მიწიშვილს როდი აინტერესებს. საქართველო კი თურმე ბერწია, „ყველაფერი ქართული უდღეოა". ყველაფერს რა მოგახსენოთ, მაგრამ ამგვარი აზრები, რომ უდღეოა ეს კი აშკარაა. ქართული მწერლობის და კულტურის განვითარება დაკავშირებულია საერთო ბურჟუაზიული კულტურის დაცემასა და სოციალისტურის აღორძინებასთან. ეს პროცესი, მარტო საქართველოში კი არ მიმდინარეობს არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში, საბჭოთა კავშირის გადაღმაც, სადაც ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის კაპიტალიზმისათვის დაუძლეველი კრიზისების პირობებში მწვავდება. თვით ბურჟუაზიული კულტურის სახელგანთქმული ოსტატები' შოუ, როდანი, დრაიზერი, დოს-პასოსი, ჟიდი და სხ. ემიჯნებიან დასაღუპავათ განწირულ კაპიტალისტურ სამყაროს. პროლეტარული მწერლობა იზრდება არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში, კაპიტალის ბატონობის უღელში მოქცეულ დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამ მოვლენას განსაზღვრავს ბურჟუაზიულ მსოფლიოს ნგრევის და სოციალისტურ სამყაროს დამკვიდრებისა და აღორძინების პროცესი. ნ. მიწიშვილს საბჭოთა მწერალს აღარ შეეფერის ისტორიის გამხმარ შტოზე მოკალათება, შემოზღუდული ახლოთი კმაყოფილება, მეცნიერული აზრის ნაციონალისტური იწილო-ბიწილოთი შეცვლა და ყორნისებური ჩხავილი საქართველოს უდღეურობაზე, რუსთაველის შემთხვევითობაზე, წარსულის არ ქონებასა, დაღუპულ აწმყოსა და უიმედო მომავალზე. საბჭოთა მწერალს არც ასეთი წუწუნი უნდა მოსდგამდეს— ძველი მწერლობა ახალ მწერლობასთან ვერ მივაო, ახალი ძველის ტყვეობაშია და მხატვრულად გაღატაკებული და გაპარტახებულიაო.

ნ. მიწიშვილის შემეცნება ჯერ კიდევ ავადმყოფურია, მთლად ვერ გამოჯანმრთელებულა. მიწიშვილი ვერ ამჩნევს მხატვრული ინტელიგენციის აზროვნებაში მომხდარ ძვრებს, რომლებიც სოციალისტური აღმშენებლობის ნიადაგზე ახალ მხატვრულ ფაქტებს აჩენს და ზრდის. მიწიშვილს არ სურს დაინახოს პროლეტარული მწერლობის, პოეზიის, ხელოვნების მთელი რიგი უდიდესი მიღწევები. მას კიდევ არ სჯერა, რომ პროლეტარული მწერლის სიბრძნე პროლეტარული მსოფლმხედველობის ნიადაგზე აღმოცენებულ მხატვრული შემოქმედების მეთოდში მდგომარეობს. პროლეტარული მწერალი „თვალდახუჭული" როდი მიჰყვება ძველი მწერლობის გზას, იგი ახალ გზას პოულობს, ახალი ბილიკებით ძველისგან განსხვავებული გზით წინ მიიჭრის; სცდება მიწიშვილი როდესაც ფიქრობს, რომ პროლეტარულ მწერალზე ნაბრძნე მისგან შეუგნებლად მადლისაგებრად გადმოდის.

ვიდრე იმედგაცრუებულ ნაციონალისტურ სულისკვეთების ნარჩენებისაგან არ განიწმინდება მიწიშვილის აზროვნება, მანამდე ის ვერ დაინახავს მოვლენათა სწორ ურთიერთობას, ვერ მიწვდება ეპოქის შინაარსს სოციალისტური სინამდვილის „მიხვევ-მოხვევით, გამრუდებულ ოლრო-ჩოლრო[illegible]" ასე [illegible] სოციალისტური ლიტერა[illegible]

ს. შანშიაშვილი, როგორც დრამატურგი

ყანა უკვე ცნობილი ხდება, როცა მომქმედ პირებად ვხედავთ საშუალო საუკუნის წარმომადგენლებს — ხელოსნებს, დურგლებს, ზეინკლებს, რომლებიც ლატავრას თავის იდეალად სთვლიან.

მთელს პიესაში შენიღბულად არის მოცემული ის იდეოლოგია, რომელიც გაბატონებული იყო ჩვენი სალიტერატურო ფრონტის ერთ უბანზე.

ლატავრას შემდეგ, დრამატურგს თავის დრამატიულ შემოქმედებაში აქვს პაუზა. მაგრამ მალე იგი იძლევა მთელ რიგ დრამატიულ ნაწარმოებს, სადაც სჩანს [illegible] ისტორიული პრობლემების მარტივი გაგება. ეს დრო მის შემოქმედებაში გარდატეხის პერიოდია. თეორიისა და [illegible] მხრივ ავტორში ხდება ერთგვარი იდეოლოგიური ძვრები. იგი იწყებს იმ პოზიციების დატოვებას, რომლებზედაც წარსულში იდგა. ავტორი ლამობს მოგვცეს თანამედროვე სოფელი, მაგრამ მის ნაწარმოებებში ჩვენ ვხედავთ უდიფერენციო სოფელს, სადაც უპირატეს როლს მებრძოლი კლასი—კულაკობა თამაშობს. ასეთია მაგალითად მისი პიესა „ერეთის გმირები", სადაც ყველაფერი მეტის მეტად ეკლექტიურად არის მოცემული. ეს პიესა მოწმობს ავტორში მომხდარ იდეოლოგიურ ძვრას. „ერეთის გმირებს" მოსდევს ვსევოლოდ ივანოვის პიესა „ჯავშნოსან"-დან გადმოკეთებული დრამა „ანზორ", სადაც ავტორი გვაძლევს მთიელების რევოლიუციონურ პარტიზანულ ბრძოლის სურათებს.

ანზორის რევოლიუციონური თვითშემეცნების უეცარი აფეთქება ხდება არა სოციალური კონფლიქტის, არამედ პირადი შურისძიების ნიადაგზე (თეთრების მიერ მისი ოჯახის ამოწყვეტის გამო). „ანზორის" სცენიური გამარჯვება უმთავრესად დადგმის გამარჯვებაა.

უკანასკნელად შანშიაშვილმა დასწერა პიესა „სამნი" სადაც მან სცადა ფედერაციის იდეის მოცემა. ეს იდეა ავტორმა ჩააყენა ეროვნული ტიპის ჩარჩოებში. ფედერაციის იდეა მოგვცა სამი ეროვნების წარმომადგენელთა პროფილებში, მაგრამ თემა ავტორს დარჩა დაუძლეველი. ყოველ შემთხვევაში ეს უკანასკნელი პიესა მოწმობს ავტორის იდეოლოგიურ გარდაქმნის დაჩქარებას. ავტორი უნდა ეცადოს, რომ ეს ხარისხობრივი ძვრები უფრო მეტი დინამიკით და სიღრმით წაიყვანოს. ჩვენ ვერ მოვთხოვთ ავტორს ფაუსტისებურ ფერისცვალებას, ვერ მოვთხოვთ ერთბაშად მოგვცეს სოციალისტური რეალიზმით გამართული ნაწარმოები. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვურჩიოთ ავტორს საღი ლიტერატურული კრიტიკის დასაყრდენით წარსულის გადაფასების საფუძველზე შეეცადოს მოგვცეს ისეთი პროდუქცია, რომელსაც მისგან მოელის საბჭოთა თეატრი და მაყურებელი

კამათი

ამხ. ქორქია: ამხ. არსენიშვილის მიერ შანშიაშვილის პირველი პერიოდის მოღვაწეობის შეფასება ძირითადად სწორეა, მაგრამ მეორე პერიოდის შემოქმედების შეფასება არ არის მისაღები, მომხსენებელმა შანშიაშვილს უსაყვედურა რუსული პიესების გადმოკეთება. საკითხავია, თუ არა ივანოვის „ჯავშნოსნის" გადმოქართულება? მე მგონია, არა მთავარია ის, თუ როგორ არის დამუშავებული თემა. რა ვუყოთ, თუ ანზორი გვაგონებს ყაზბეგის [illegible]. სახელწოდების შეცვლა არ არის [illegible]. სულ სხვაა შანშიაშვილის ანზორი და სულ სხვაა ყაზბეგის ანზორ [illegible].

„ანზორში" დრამატურგმა მიზნად დაისახა მთის საოჯახო ომის ამბების ისტორიული სიმართლით მოცემა, შანშიაშვილმა დასძლია ეს ამოცანა. რასაკვირველია უფრო სწორი და ძვირფასი იქნებოდა, რომ ანზორი მოცემული ყოფილიყო არა როგორც ინდივიდუალურად შეურაცხყოფილი, არამედ როგორც სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ შემდგარი ადამიანი. ბელადს ჰქმნის არა ოჯახი, არამედ სოციალური კონფლიქტები.

რევოლიუციონური ბრძოლა, წითლებისა და თეთრების შეტაკება ბოლოს და ბოლოს ყველგან ერთი და იგივე ხასიათის იყო, მაგრამ თავისებურ ფერს და სახეს ღებულობდა თვითეულ კუთხეში, თვითეულ ერში, შანშიაშვილის დამსახურება ის არის, რომ მთის ხალხის თვალით დაინახა ეს ისტორიული ამბავი.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ მოხსენებაში შანშიაშვილი ისე დიდი არ გამოჩნდა, როგორც სჩანს იგი ჩვენს ლიტერატურაში. შანშიაშვილი არის დიდი ოსტატი და მას მეტი უნდა მიეზღოს, ვიდრე მიუზღო მომხსენებელმა.

გ. ბაზოვი: შანშიაშვილის დრამატიული მუშაობა პიესა „სპარტაკ"-ამდე მომხსენებელმა სწორად შეაფასა, მაგრამ „სპარტაკს" შემდეგ დაწერილი დრამების შეფასებაში არსენიშვილმა გამოიჩინა „მემარცხენეობა", რაც საერთოდ ახასიათებს არსენიშვილს, როგორც კრიტიკოსს. არსენიშვილის სიტყვებით თუ გამოვსთქვამთ, შანშიაშვილმა ავტო-დაფეს უნდა მისცეს თავისი ნაწარმოებები, მაგრამ უნდა მიეცეს თუ არა ავტო-დაფეს „ანზორი" და „სპარტაკი"? მე ვფიქრობ „სპარტაკი" მეტად საინტერესო ნაწარმოებია არა მარტო ქართულ დრამატურგიაში. ბევრი უცხოელი მწერალი შეეხო „სპარტაკს" და დაუშვა შეცდომები. შანშიაშვილის დასახასიათებლად მთავარი ის კი არ არის, რომ არ დაიცვა ისტორიული ფაქტების სიზუსტე, არამედ ის, რომ შანშიაშვილმა პირველად ქართულ დრამატურგიაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეორე წელსვე (1922 წ.) მოგვცა ისეთი თემატიური ნაწარმოები, როგორიც არის „სპარტაკი". მომხსენებელმა ერთი ხელის მოსმით უარყო „ანზორ"-ი და „სამნი". ასე ზერელე შეფასების გზას ჩვენ ვერ გავყვებით. მართალია, თეატრმა დიდი მუშაობა ჩაატარა და „ანზორიც" გამოვიდა ინტერესო წარმოდგენა, მაგრამ თეატრს რომ მაღალ ხარისხოვანი მასალა არ ქონოდა, ვერ მოგვცემდა ასეთი მაღალი ღირსების სპექტაკლს.

სამოქალაქო ომებში დიდი ტრაღედია გადახდა თავს დაღესტანს. ეს ტრაღედია აღიქვა ავტორმა, და განასახიერა „ანზორში". მაყურებელი იჯერებს ანზორის ტრაღედიის და დიდი აღფრთოვანებით უყურებს სპექტაკლს.

„სამნში" შანშიაშვილს უსათუოდ აქვს ეფექტები. ეს პიესა არ არის მთლიანი ნაწარმოები, აქ მოქმედება ორგანიულად არ ვითარდება. მასში მოცემულია მხოლოდ ცალკე ეპიზოდები: ერთი აქტი იშლება საქართველოში, მეორე სომხეთში, მესამე აზერბეიჯანში. ყოველ შემთხვევაში ამ პიესით შანშიაშვილმა პირველად სცადა დრამატიულ ფორმებში მოეცა ამიერ-კავკასიის ხალხთა შეკავშირების იდეა. არის თუ არა მისასალმებელი მისი ამ გზაზე შედგომა? შეიძლება თუ არა ავტოდაფეს მივსცეთ ეს მისი ნაწარმოებიც? მომხსენებელი საყვედურობს შანშიაშვილს, როგორც დრამატურგს შეეხო, მაგრამ ზერელედ. მომხსენებელი ლაპარაკობდა იმ იდეოლოგიურ ძვრებზე, რომელიც შანშიაშვილმა განიცადა, მაგრამ როგორ ახასიათებს დრამატურგი ამ თავის იდეოლოგიურ ძვრებს? ყოველ დრამატურგს თავისი საკუთარი ტეხნიკა აქვს; ამის შესახებ მომხსენებელმა არაფერი სთქვა. აუცილებლად აღნიშნული უნდა ყოფილიყო შანშიაშვილის დრამატურგიული ხერხებიც. დღევანდელ ეტაპზე დრამატურგიას დიდი ყურადღება ექცევა. მის მნიშვნელობაზე დღეს განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ, მომხსენებელი ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით უნდა შეჩერებულიყო. მართალია ის აღნიშნა, რომ შანშიაშვილის დრამატურგია კრიტიკული დრამატურგიაა, მაგრამ ეს დებულება საჭიროებს უფრო საფუძვლიან დასაბუთებას. თუ შანშიაშვილის დრამატიული ხერხები პრიმიტიული და მიუღებელია, მაშინ უნდა დავგმოთ. მაგრამ თუ ეს ხერხები კარგია, ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისგან. მომხსენებელმა ამაზე თითქმის არაფერი სთქვა. მე ვფიქრობ, რომ ამ გზით წაყვანა მოხსენებათა ციკლისა არ იქნება მიზანშეწონილი.

ამხ. სიმ. ხუნდაძე. ს. შანშიაშვილი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მწერალია, მას მოუხდა ჩვენი ეპოქის სხვადასხვა პერიოდებში მოღვაწეობა. ის მრავალფეროვანია თვის მხრივ, რომელიც მას ახასიათებს მოითხოვს მეტ დაკვირვებასა და შესწავლას ვიდრე მომხსენებელმა გამოიჩინა. შეუძლებელია მწერლის ერთი რომელიმე ეპოქის შესწავლა, თუ წინასწარ არ შევისწავლეთ მთელი მისი შემოქმედების ხასიათი და იდეოლოგია. შანშიაშვილს უხდებოდა მოღვაწეობა ჩვენი ეპოქის სამ დიდ პერიოდში. პირველია რეაქციის პერიოდი, მეორე წვრილ-ბურჟუაზიულ მენშევიზმის ბატონობის დრო და მესამე —პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდი. როდესაც ამ პერიოდებს ვღებულობთ, საჭიროა მათი შინაგანი განმსაზღვრელი ფაქტორების დახასიათება. აუცილებელია მწერლის ჩაყენება ამ ისტორიულ კალაპოტში და ამის მიხედვით მისი აზროვნების შესწავლა. მოხსენებაში ეს არ სჩანდა. მომხსენებელმა უსაყვედურა შანშიაშვილს, რომ მისი ტიპები სივრცისა და დროის გარეშე მოქმედებენ. მაგრამ ეს საყვედური მომხსენებელსავე უნდა მივაპყროთ. მან შანშიაშვილის დრამატურგიის გარჩევა მოსწყვიტა ობიექტიურ-ისტორიულ პირობებს.

მომხსენებელს აუცილებლად უნდა წინასწარ გაერკვია მწერლის კლასიური ბუნება, მისი შემოქმედების სოციალური საფუძველი, არ არის საკმარისი იმის თქმა, რომ დრამატურგი იდეალიზაციას უკეთებს წარსულს, რომ მას რომანტიზმი მოეძებნება, რომანტიზმმა შეიძლება გაიტაცოს წვრილი ბურჟუაც და ფეოდალური არისტოკრატიც. საჭირო იყო შანშიაშვილის კლასიური მდგომარეობის შესწავლა, როცა გავიგებთ, თუ რომელ კლასის იდეოლოგიას გამოხატავდა დრამატურგი, შემდეგ გასაგები გახდებოდა მისი სოფლმხედველობაც. ამ გზით არის შესაძლებელი შანშიაშვილის დრამატურგიის სწორი სოციოლოგიური შეფასება.

ს. შანშიაშვილი წვრილ-ბურჟუაზიული მწერალი იყო, ამ კლასის საზოგადოებრივი მდგომარეობა გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში და მისი შესწავლა ნათელს მოჰფენს შანშიაშვილის შემოქმედებას.

დაუშვებელია ავტოდაფეს მოთხოვნა. ასეთი მოთხოვნა პოლიტიკურად სწორი არ არის. ჩვენ ვებრძვით ძველი მწერლების იდეოლოგიას, მაგრამ ჩვენ არ უარვყოფთ ტოლსტოის და დოსტოევსკის მხატვრულ შემოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ მასში რეაქციონური იდეებია გაბნეული.

ახლა არსებითად ს. შანშიაშვილზე როგორც მწერალ-დრამატურგზე. სამწერლო ასპარეზზე ს. შანშიაშვილი გამოდის რეაქციის დასაწყისში 1906 წელს. მისი მოღვაწეობა და შემოქმედება იშლება რეაქციის ხანაში,—პერიოდში, როდესაც რევოლიუცია დამარცხდა და წვრილ-ბურჟუაზიული ილიუზიები გაიფანტა და მისი ინტელიგენციის წრეები მოიცვა პესიმიზმმა. როგორია ამ პერიოდში პოეტის განწყობილება და მიმართულება? თუ ავიღებთ ლექსებს და 1907—18 წლების სხვა მის ნაწერებს, დავინახავთ წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიის იმედების გაცრუებას, ს. შანშიაშვილის მაშინდელ შემოქმედებაში გაბატონებული პესიმიზმის ოცნებების მხარისაკენ ლტოლვას. მძიმე ობიექტიური პირობები წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას უკარნახებს მოსწყდეს სინამდვილეს და მიეცეს ოცნებას, ამით აიხსნება შანშიაშვილის იმ დროინდელი შემოქმედების პესიმისტური ხასიათი, დაცემულობა, „ოცნების ქვეყნისაკენ" ლტოლვა, წარსულის იდეალიზაცია და კლასიციზმით გატაცება. შანშიაშვილი გ. ტაბიძესთან და სხვებთან ერთად სიმბოლიზმის დამწყებია ჩვენში. ცდილობდა ქ. აბაშიძე, რომელიც ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტად სახავდა. სიმბოლიზმი ჩვენში აღმოცენდა 1905 წლის შემდეგ, რეაქციის ხანაში. ესთეტიკის თეორია თუ მას გრ. რობაქიძე იცავდა, მხატვრულ სახეებში ამ მიმართულებას შანშიაშვილი ემსახურებოდა.

შანშიაშვილის დრამატურგია იწყება არა „უგვირგვინო მეფეით", არამედ „შვების თავადით" (1909—11 წ.) რომელიც შანშიაშვილის იდეალიზმის, მისი სიმბოლიზმის საუკეთესო გამომხატველია, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში დაწერილი „შვების თავადი" ამჟღავნებს გარკვეულ მსოფლმხედველობას, რომელიც ჩვენში ნიცშეს იდეების ზეგავლენითაც წარმოიშვა. ერთ დროს შანშიაშვილი გატაცებული იყო ნიცშეთი და ზეკაცის იდეამ იგი მოხიბლა და მისი სახე „შვების თავადში" მოგვცა. „შვების თავადი" ტეხნიკურად შეიძლება სუსტი ნაწარმოები იყოს, მაგრამ ისტორიულად მასში მოცემულია გარკვეული იდეოლოგია, რომელიც ახასიათებდა ჩვენს დაცემულ პესიმიზმისა და იდეალიზმით შეპყრობილ საზოგადოების საგრძნობ ფენებს. ეს მომხსენებელს გამორჩა. გარდა ამისა, როცა შანშიაშვილის დრამატურგიას ვეხებით უნდა განვიხილოთ ისიც, თუ რა მიიღო მან წარსულიდან და შემდეგ რა განავითარა, როგორი ახალი მოტივები და მიმართულება შემოიტანა.

მართალია მომხსენებელი, როცა ამბობს, რომ „უგვირგვინო მეფეში" რომანტიულადაა მოცემული საქართველოს წარსული სოციალ - პოლიტიკური მდგომარეობა, იმ დროინდელი დიდი ბრძოლა ფეოდალებსა და ერთმეფობის შორის. შანშიაშვილმა ამ ნაწარმოებში ვერ მოგვცა სწორად კლასობრივი ბრძოლა და საკაძეს მოახვია ის იდეები, რომლებიც 1912—13 წლებში აწუხებდა რუსეთის ცარიზმით შევიწროვებულ ეროვნულ ბურჟუაზიას.

მომხსენებელს ყურადღება უნდა მიექცია „ქალი გრძნეულისათვის", რომელიც იდეალიზმის და სიმბოლიზმის გამომხატველია. „სპარტაკის" დამახასიათებელი თვისება რომანტიზმი არ არის. ეს ნაწარმოები შანშიაშვილის შემოქმედებაში გარდამავალ მომენტად უნდა ჩაითვალოს — საბჭოთა მწერლობისაკენ. იგი ერთი ხელის დაკვრით არ მისულა საბჭოთა ხელისუფლებასთან, მან მრავალი პერიპეტიები გადაიტანა. შეცდომებისა, გადახრებისაგან არც დღეს არის დაზღვეული.

„ანზორის" შესახებ უნდა ვსთქვა, რომ შანშიაშვილმა ამ გადმოკეთებულ პიესაში არ უღალატა თავის ორიგინალობას და დიდ ოსტატობას. სამოქალაქო ომის ამბები მან გადმოიტანა ახალ ისტორიულ პირობებში და სულ სხვა ეთნოგრაფიულ-კოლონიალურ ფონზე გაშალა. შემცდარია, თითქოს ყაზბეგის „ელისოს" და „ანზორის" პერსონაჟები ერთნაირი იყოს. „ელისოს" ტიპები ეკუთვნიან იმ პერიოდს, როცა მთის გლეხობა ჩამორჩენილი, განუვითარებელი იყო, როცა მას ანადგურებდა რუსეთის ხიშტებზე დაყრდნობილი ბიუროკრატიულ-პოლიციური სისტემა და სავაჭრო კაპიტალი.

იმ ხანებში გლეხობა ოსმალეთში გაქცევის გარდა სხვა გამოსავალს ვერ პოულობდა, „ანზორში" მოცემულია პერიოდი, როცა მთიელ. გლეხს გაუჩნდა დამხმარე პროლეტარიატის სახით და მისი მეთაურობით შეებრძოლა ცარიზმს. ყაზბეგმა მოგვცა გლეხობის სტიქიური აჯანყება, შანშიაშვილმა-კი შეგნებული გლეხური რევოლიუციონური მოძრაობა მუშათა კლასის მეთაურობით. ანზორის გარევოლიუციონერება პირადი შურისძიების ნიადაგზე არ არის უარყოფითი, მხოლოდ შემცდარია ავტორი, როდესაც კულაკი გლეხი გამოყავს ასეთ ტიპად. დასაშვებია, რომ პირადმა უბედურებამ ულარიბეს გლეხში დიდი სულიერი გარდატეხა გამოიწვიოს, გააღვივოს მისი შურისძიება და რევოლიუციონური პროლეტარიატის მიმდევარი გახადოს. დრამატურგს არ შეეძლო მექანიკურად მოქცეულიყო და ჩამორჩენილი მთიელი გლეხი ერთი ხელის დაკვრით გაეხადა პროლეტარიატის მომხრედ. დრამატურგმა შესძლო მოეცა რევოლიუციონური ბრძოლის სურათი კოლონიალურ ჩამორჩენილი ხალხის ცხოვრების თავისებურ პირობებში. ეს ამტკიცებს იმას, რომ შანშიაშვილს შესწევს უნარი ნამდვილ ნაციონალურ ნიადაგზე მოგვცეს ინტერნაციონალური იდეებით გამსჭვალული დრამატიული ნაწარმოები. ამ მხრივ მას დახმარება ესაჭიროება და არა ხელის კვრა.

ს. შანშიაშვილი: მირჩევნია ახალი დრამა დავსწერო, ვიდრე საკუთარ თავზე ვილაპარაკო. მე მამძიმებს საკუთარი შეცდომების ტვირთი და არ ვცდილობ დავმალო ჩემი კუზი. მაგრამ მომხსენებელს მაინც ვერ დაუჯერებ და ავტოდაფეს ვერ მივსცემ მთელ ჩემს წარსულ შემოქმედებას. არ ვიზიარებ მომხსენებლის აზრს იმის შესახებ, თითქოს ჩემი „უგვირგვინო მეფენი" რეაქციონური ნაწარმოები იყოს.

რაც შეეხება „ბერდო ზმანია"-ს მე ის მიმაჩნია ჩემ სანიმუშო ნაწარმოებად, რომლითაც მე ვამაყობ არა მარტო იმიტომ, რომ იგი ხალხურ ლეგენდაზე მაქვს აშენებული, არამედ იმიტომ, რომ მასში მოცემულია რევოლიუციის პირველი ყივილი, მე იქ მოვუწოდებ ხალხს ცარიზმის დამხობისაკენ. ეს ნაწარმოები 1916 წლით იმიტომ დავათარიღე, რომ აღმენიშნა, თუ რა თემა, რა იდეები მაწუხებდა მე იმ პერიოდში. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს თემა აუცილებლად შეაწუხებდა სხვა მწერლებსაც. მართლაც 4 წლის შემდეგ გამოქვეყნდა ვერფელის „შპიგელმენში"-ი, სადაც ავტორი იმავე პრობლემებს აყენებს, რომლებსაც ჩემი „ბერდო ზმანია".

ჩემთვის სრულიად უცხო იდეები მიაწერა მომხსენებელმა პიესა „ლატავრასაც", სადაც მე ვსცადე ალეგორიულად მომეცა ხალხის ბრძოლა საუკეთესო იდეალური სახელმწიფოსათვის. მე ვერ გამიგია, რა არის ამ ნაწარმოებში რეაქციონური? მომხსენებელი, რომელიც ჩემს წინანდელ ნაწარმოებებში ვერ ხედავს პროგრესის ვერავითარ ნიშნებს, არ უარყოფს ანზორის რევოლიუციონურ მნიშვნელობას. მაგრამ როგორ შეიძლება მწერალმა ერთბაშად დასწეროს რევოლიუციონური ნაწარმოები, თუ მას წინანდელ შემოქმედებაში არ ჰქონია რევოლიუციონური შეგნების ელემენტები. ჩემს დრამატიულ ნაწარმოებში აუცილებლად იყო ეს ელემენტები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განვითარდენ და განმტკიცდენ. ამით აიხსნება, რომ მე დავსწერე „ანზორი", „სამნი" და იმედი მაქვს, რომ კიდევ დავსწერ უფრო სრულყოფილ ნაწარმოებსაც.

გ. ბუხნიკაშვილი: ნაწარმოების თემატიური კარჩევა საშუალებას გვაძლევს დავსახოთ ახალი ამოცანები მწერალთა შემოქმედებითი მუშაობისათვის. უნდა აღინიშნოს, მომავალი ამოცანების დასახვის თვალსაზრისით **ჩვენი სალამო ვერ იყო დამაკმაყოფილებელი.** მოხსენება წარმოადგენდა გაკვრით ექსკურსიას შანშიაშვილის შემოქმედებაში, მომხსენებელმა შანშიაშვილის დრამატიული შემოქმედება ვერ დაუკავშირა მის პოეზიას. ამიტომ ვერ მოგვცა მისი სრული პორტრეტიც. **მომხსენებელმა შანშიაშვილის შემოქმედების შეფასების დროს დაუშვა „მემარცხენე" ხასიათის შეცდომები. შანშიაშვილის შემოქმედებას დადებითი მომენტებიც ახასიათებს, რაც ვერ დაინახა მომხსენებელმა.** შანშიაშვილის დრამატურგიული ტეხნიკა უაღრესად განვითარებულია. მას ეხერხება დრამატიული კვანძის გახსნა, დიალოგების გაშლა და სხვ. ამას უნდა შეხებოდა მომხსენებელი, რადგან დრამატურგიულ ტეხნიკას ამჟამად ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. საკმაო არ არის ავტორს უჩვენო მხოლოდ შეცდომები და იდეოლოგიური გადახრები. უნდა მიუთითო ის გზაც, რომელიც გამოასწორებინებს მას ამ შეცდომებს. თვით შანშიაშვილი ამჟამად კრიტიკულად უყურებს თავის წარსულ მემკვიდრეობას, რაც ნათლად სჩანს „ანზორში" და მის ახალ ჯერ გამოუქვეყნებელ დრამატიულ ნაწარმოებში. ჩვენი ვალია დავეხმაროთ მას დასძლიოს სიმბოლიზმის რეციდივები და შექმნას ახალი სოციალისტური რომანტიზმით გამსჭვალული დრამატიული ნაწარმოები.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვა

გამოსულმა ამხანაგებმა მისაყვედურეს, რომ ჩემი მოხსენება წარმოადგენდა რეცენზიას და არა შანშიაშვილის შემოქმედების ღრმა ანალიზს. ეს მონოგრაფიის საქმეა, რასაც ჩემს მოკლე მოხსენებაში მიზნად ვერ დავისახავდი. მისაყვედურეს აგრეთვე, რომ მე არაფერი ვსთქვი შანშიაშვილში მომხდარ იდეოლოგიურ ძვრებზე. მე ეს ძვრები აღვნიშნე. ვსთქვი, რომ უკანასკნელი პერიოდის შანშიაშვილის შემოქმედებას ახასიათებს თემატიური სიახლე, მაგრამ, ეს არ არის მთავარი. თემატიური სიახლე ეხლა თითქმის ყველას აქვს. არ არის მწერალი, რომელიც რაიმე კუთხით არ უდგებოდეს თანამედროვეობას. საქმე ის არის, თუ როგორ უდგება მწერალი თანამედროვეობას; როგორია მისი თვალსაზრისი და ნაწარმოების ხარისხი.

„ავტოდაფე" აქ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს. მე მართლა წიგნების დაწვას კი არ მოვითხოვ, არამედ იმ იდეების უკუგდებას, იმ იდეალისტურ რომანტიული მსოფლმხედველობის უარყოფას, რომლის რეციდივები შანშიაშვილს აქვს ახალ ნაწარმოებშიდაც, როცა თვით შანშიაშვილი თავის წინანდელ შემოქმედებას რევოლიუციონურ სამოსელში ხვევს, ეს არის თავისი იდეოლოგიის უკანა რიცხვით გალამაზება. რევოლიუცია მის ადრინდელ ნაწარმოებებში არა სჩანს და ვერავითარი პროექტორი მას ვერ აღმოაჩენს. ავტორმა ეს უნდა აღიაროს და თავის თავზე სთქვას ის, რასაც ამბობს რუსი მწერალი ქალი ვერა ინბერი საკუთარ თავზე.

რა თქმა უნდა, წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობა არ უნდა უარვყოთ, მაგრამ შემოქმედებითი ძალით სავსე ცოცხალი ავტორისაგან ჩვენ უნდა მოვითხოვოთ გარდაქმნის ნიშნის ქვეშ გადასინჯოს თავისი წარსული მოღვაწეობა. შანშიაშვილმა რევოლიუციონურ თემატიკაშიდაც უნდა მოგვცეს ის ხარისხი, რომელიც მას რეაქციონურ თემატიკაში ჰქონდა.

ეროვნული

ანდრო დოლიძე

ამხ. დ. კობახიძის სათეატრო მოღვაწეობის შესახებ

ხანგრძლივი, დაუღალავი და თავგანწირული ბრძოლების საშუალებით მოიპოვა ძველი რუსეთის სახელმწიფოში შემავალ ხალხების მშრომელმა მასებმა, ბრწყინვალე გამარჯვება, თავისი ქვეყნის მუქთახორა, სისხლის მსმელ ექსპლოატატორებზე.

სამკვდრო - სასიცოცხლო გამართულ, ხელჩართულ რევოლიუციონურ ბრძოლებში, რუსეთის მუშათა კლასმა დანარჩენი ხალხების მშრომელ მასებთან ერთად, სამუდამოდ გაანადგურა და მოსპო ჯერ თვითმპყრობელი მეფის ტახტი, ხოლო შემდეგ — კაპიტალისტთა კლასის ბატონობა.

ექსპლოატატორებისა და მუშათა კლასის მოსისხლე მტრების ბატონობა, შეცვალა—გამარჯვებული პროლეტარიატის დიქტატურამ.

და, აი მუშათა კლასის ამ გარდამწყვეტ ბრძოლებში, მისი მოწინავე ავანგარდი, სწორი რევოლიუციონურ გზის მაჩვენებელი, მისი შეუდარებელი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ბოლშევიკები, იყო კომუნისტური პარტია ლენინის მეთაურობით.

ჭეშმარიტი რევოლიუციონერები, მუშათა კლასის მიზნების საბოლოო გამარჯვების იდეით აღფრთოვანებულნი, არ იხევდენ მტრის მიერ დაგებულ საფრთხისა და დაბრკოლებების წინაშე. მათ ვერ აშინებდათ ტანჯვა, შიმშილი, დევნა, ციხე და ბორკილები. ისინი იტანდენ ყოველგვარს გასაჭირს და მომავალის ურყევი იმედით გატაცებულნი მედგრად მიისწრაფოდენ წინ, ერთხელ არჩეულ ,ტანჯვით სავსე ეკლიანი გზით, — საბოლოო გამარჯვებისაკენ.

და აი ამ გზით, ამ მანძილით ერთ-ერთი გზა-გამკვლევთაგანი, მშრომელთა კლასის საერთო საქმისათვის, თავისი მხრით ფრიად საჭირო და სასარგებლო წვლილის უანგაროთ შემომტანი არის ამხ. **დ. კობახიძე.**

ცნობილია, რომ მტრის ბანაკზე შეტევა და იერიშების მიტანა მრავალნაირად და მრავალი მხრით სწარმოებდა. ალყის შემორტყმა მტერს უნდა ეგრძნო ყოველი კუთხიდან. ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ყველა მნიშვნელოვანი პუნქტების ხელში ჩასაგდებად, შემდგომი გადამწყვეტი ბრძოლების უეჭველი გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის.

მშრომელ მასებთან დაახლოებისათვის, მათში რევოლიუციონური სულიერი განწყობილებისა და ბრძოლის გაჩაღების აუცილებლობის შეგნების შეტანის მიზნით, უნდა დაგვეჭირა და გამოგვეყენებია ხსენებული მასებისაკენ ყველა თვალსაჩინო სავალი გზები, რომ აქედან გვეწარმოებია, შემდეგ შესაფერი თავდასხმები კლასიურ მტრებზე, ჩვენი მებრძოლთა რაზმების უკეთ დასარაზმავად.

საამისოდ კი ერთ-ერთ საშუალებად უეჭველათ უნდა მიჩნეულიყო თეატრი, სცენა, შესაფერი ხელმძღვანელობით და აუდიტორიით. მაგრამ ყველაფერი ეს მაშინ, არსებითად, პირდაპირ მოწინააღმდეგეთა ხელში იმყოფებოდა. ამიტომ საჭირო და აუცილებელი იყო აქ, ამ დარგშიაც საკუთარი ძალების გაჩენა, საკუთარი კუთხის შექმნა და მებრძოლი პროლეტარიატის მიზანშეწონილებებთან შეხამებული შრომა და მოქმედება.

და აი, ეს აუცილებლობა საქართველოს პირობებში, როგორც თვითმპყრობელი მეფის რეჟიმის, ,ისე „კერენშჩინისა" და მენშევიკების ბატონობის ხანაში, შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად ყველაზე უკეთ შეიგნო ამხ. **დ .კობახიძემ** და ამ მიმართულებით უანგარო შრომასა და მოქმედებას მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი.

ამხ. დ კობახიძე ჯერ კიდევ 1903—05 წლებიდან, უშიშრად და გაბედულად გაემიჯნა ძველი დახავსებული ფორმისა და შინაარსის კარჩაკეტილი სათეატრო ხელოვნების მოღვაწეობას.

იგი მთავითვე გმობს მის (სათეატრო ხელოვნების) არისტოკრატიულ - შოვინისტურ, მეშჩანურ - ბურჟუაზიულ სულს, მის უმიზნობას.

მისი მოღვაწეობა და შრომა ამ შემთხვევაში ღებულობს ნამდვილი რევოლიუციონური ბრძოლის ხასიათს.

იგი ამ მუშაობის დროს მჭიდროთ არის დაკავშირებული მშრომელ მასებთან და პარტიულ ორგანიზაციასთან.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ამხ. **დ. კობახიძემ** ყველაზე ადრე შთაბერა პროლეტარულ - ბოლშევიკური სული ქართულ სათეატრო ხელოვნებას.

რა თქმა უნდა, ასეთი თეატრის მთლად აშკარა, ლეგალური არსებობა, როგორც ძველი რეჟიმის, ისე მენშევიკების ბატონობის ხანაში შეუძლებელი იყო. საჭირო იყო მრავალი არალეგალური მოხერხებანი, რომ მას შესაფერი განსხვავებული სახე და შინაარსი შეენარჩუნებინა. ამხ. **დ. კობახიძე** ასეთ მოხერხებებს საკმაო გაბედულებით იყენებდა. იგი ხშირად, მაგალითად საჭიროების დროს შესაფერისად გადააკეთებდა ხოლმე, რომელიმე პიესას, უფრო მეტი სიახლისა და რევოლიუციონური შინაარსის მისაცემად.

იყო შემთხვევები, როცა რომელიმე პიესის დადგმა [illegible]დებოდა, მაშინ სხვა რომელიმე პიესის დასადგმელად აიღებოდა ნებართვა, მაგრამ ნამდვილად სცენაზე ჯგუფის მიერ იდგმებოდა ის პიესა, რომელზედაც ნებართვა არ იყო მიცემული მთავრობის აგენტების მიერ. — მსგავს მოხერხებათა მაგალითები ბევრი იყო.

ახლა დაუმატოთ ყველა ამას, კიდევ ის გარემოება, რომ თეატრ. ჯგუფის მონაწილენი უმთავრესად იყვნენ მუშები, რომელთაც იდეურ ხელმძღვანელობას უწევდენ ზოგიერთი ბოლშევიკები.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ეს ჯგუფი ღებულობს **„პროლეტარული დასის"** სახელწოდებას და განაგრძობს მოგზაურობას და მოღვაწეობას საქართველოს დაბა ქალაქებსა და სოფლებში, სადაც იმართება ახალი შინაარსის წარმოდგენები და სალამო - მიტინგები.

სალამო - მიტინგებზე მოხსენებით გამოდიან ბოლშევიკები, რომლებიც აცნობენ მსმენელებს ბოლშევიკურ მიზნებსა და ამოცანებს, როგორც ხელოვნების, ისე სხვა — მომენტის შესაფერი საჭირბოროტო საკითხების შესახებ.

ამხ. დ. კობახიძის მუშაობა აქაც აშკარა ბოლშევიკურია, რასაც ვერ ითმენენ მენშევიკები და მას ყოველ ფეხის გადადგმაზე ხელს უშლიან მუშაობაში. ძველი რეჟიმისაგან დევნისა და ტანჯვა - წამება გამოვლილს, ახლა ეს ვაჟბატონები, ეს „სოციალისტები" სასტიკად სდევნიან მას და მის საქმიანობას.

ცნობილი მენშევიკი რაფიელ ჩიხლაძე გაგრაში გაბოროტებით ხევს გაკრულ აფიშას — „პროლეტარული დასის" ზე წარწერით.

მენშევიკური მთავრობა და მისი აგენტები, შემდეგ კიდევ უფრო აძლიერებს თავის რეპრესიებს ამ პროლეტარული დასის წინააღმდეგ. აპატიმრებს მის ხელმძღვანელს ამხ. კობახიძეს და ბოლოს სავსებით აძევებს მას — საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის" საზღვრებიდან.

ყველა ამის გამო ამხ. კობახიძის თეატრს, სამართლიანად ეწოდება წარსულში ჩატარებულ მუშაობასთან დაკავშირებით: — **თეატრი იატაკ ქვეშ.**

აი, ეს — **თეატრი იატაკ ქვეშ** — ათასგვარი დაბრკოლებებისა და მძიმე პირობების დძლევის შემდეგ 1903—05 წლებიდან მოყოლებული ამხ. კობახიძემ გამოატარა დროის დიდ მანძილზე და მოიტანა იგი გასაბჭოებული საქართველოს თავისუფლებამდე 1921 წელს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი იგი მუშაობდა ჯერ წითელი თეატრის სახელწოდებით, შემდეგ პროლეტარული თეატრალური სტუდიის და ბოლოს საკოლმეურნეო თეატრის სახელით.

სწორედ საერთო საქმისადმი უანგარო სიყვარულით, ალსავსე და ნამდვილი რევოლიუციონური ბრძოლის იდეით გამსჭვალული და ამ იდეისათვის თავდადებული მუშაკი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელმაც ასეთ მძიმე პირობებში დაუღალავად იმუშავა სათეატრო ხელოვნების დარგში პროლეტარული იდეოლოგიის გაბატონებისათვის მტკიცე და ურყევი ნიადაგის მოსამზადებლად.

პირადა მე, ჩემი არალეგალური მუშაობის დროს, როგორც ძველად (ძველ რეჟიმის არსებობის დროს) ის მენშევიკების ბატონობის ხანაში, არა ერთხელ მინახავს ამხ. დ. კობახიძისა და მისი ჯგუფის გატაცებული მუშაობა გურიაში, სამტრედიაში და სხვ. და მე პირდაპირ მაოცებდა ის თავგანწირული ენთუზიაზმი, ერთგულება და მტკიცე რწმენა, რომელსაც იჩენდა ხსენებული საქმისადმი ამხ. დ. კობახიძე, მაშინ ნახევრად მშიერ-მწყურვალი და დევნილი.

და დღეს, როცა ჩვენი პარტია გამარჯვებულია, როცა სახელმწიფო ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელშია და, როგორც მთლიანად მთელს კულტურულ-განმანათლებელ ფრონტზე, ისე სათეატრო ხელოვნების დარგშიაც დღითი-დღე, სისტემატიურად საკუთარ იდეოლოგიას სწევს და აყალიბებს, არ შეიძლება არ მოვიგონოთ და არ ვსთქვათ, რომ პროლეტარული ხელოვნების ამ გაღვივებული შრომის სამჭედლოში რკინის ჩაქუჩის ერთ-ერთი პირველი მარჯვეთ მომქმედი იყო ამხ. **დ. კობახიძე.**

და სწორედ ამის გამო მას, საქართველოს საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით მიენიჭა ამას წინად — ს.ს. რესპუბლიკის სახალხო არტისტის — სახელწოდება.

ჩვენც, ჩვენის მხრიდან ვესალმებით მას ასეთი დამსახურების გამო, როგორც ჩვენი საკუთარი რიგების ენერგიულსა და რუდუნ მუშაკს, რომელიც ყოველგვარი ხმაურობის გარეშე აკეთებდა ფრიად მნიშვნელოვანსა და სასარგებლო საქმეს, პროლეტარული სათეატრო ხელოვნების დარგში.

ლიტქრონიკა

გრიგოლ რობაქიძის წიგნები გერმანულ ენაზე

გერმანიაში ,1932 წ. გამოვიდა **გრიგოლ რობაქიძის 2 წიგნი: 1 .კავკასიური ნოველები.** წიგნი შეიცავს 79 გვერდს. 5 × 8 .წიგნში მოთავსებულია: წინასიტყვაობა (5—8 გვ.) და სამი ნოველა: ა) მაგიური სათავეები (9—58 გვ.), ბ) წმინდა ხარის დაკვლა (58—68) და გ) იმამი შამილი (69—79 გვ.). პირველი ნოველა გერმანულად გადათარგმნილია **ქეთე როზენბერგის,** ხოლო ორი უკანასკნელი პროფ. **რიხარდ მეკელაინის** მიერ.

2. მეგი, ქართველი ქალი (რომანი) წიგნი მიძღვნილია სტეფან ცვაიგისადმი; გამოცემულია ტურინგენში, შეიცავს 239 გვ. რომანი გერმანულად გადათარგმნილია **რაინჰოლდ ჩაკერტისა** და თვით ავტორის მიერ, პროფ. **რიხარდ მეკელაინისა, მარგარეტე გარდაუნის და ელისაბეტ ვიტდცლის** თანამშრომლობით.

— ოპერა არსენ ჯორჯიაშვილზე. ხუზმან ერთაწმინდელმა დასწერა ლიბრეტო არსენ ჯორჯიაშვილზე. მუსიკას სწერს ახალგაზრდა კომპოზიტორი გ. ჩხიკვაძე.

„მნათობი" № 8—9

შინაარსი:

პანტ. ჩხიკვაძე—ნაბიჯები.

ვ. გაფრინდაშვილი—რევოლიუციის წარსულიდან (ლექსი).

ტიციან ტაბიძე—მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი (ლექსები).

რაჟდენ ქორქია—გრიგალი (დასასრული).

გ. კაჭახიძე—პატარა მწყემსი და თეთრი ლაფშა (ლექსი).

გ. ქუჩიშვილი—ხალხურ კილოზე (ლექსი).

კ. გამსახურდია — გოეტეს ცხოვრების რომანი.

ვ. რუხაძე — საბჭოთა სახლი (ლექსი).

გ. შატბერაშვილი—ღამე ყაზბეგში (ლექსი).

დ. ხელაშვილი—კედელი (დასასრული).

გორკის 40 წლის იუბილე

გორკის ცხოვრება და შემოქმედება.

ა. სტეცკი—მ. გორკის სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცი წელი.

ნ. ბუხარინი—ახალი კაცობრიობ

მემუარები და დოკუმენ

სიმონ ხუნდაძე—სიტყვა [illegible] წერილები.

ბ. ბიბინეიშვილი — კამ

კაპიტალისტურ დასავ

ა. [illegible] — მსოფლიო

და [illegible] თანამედროვე

ზე

[illegible] და კულტურ

[illegible]ნი

[illegible]ლობა

[illegible] ლიტერატური

[illegible]ნდა გაიგოს მწერალ-

[illegible]ლმა წევრმა ამ

[illegible]ბის მნიშვნელობა და

[illegible] ხელმძღვანელო

მეტი ყურადღება სალიტერატურო წრეების მუშაობას რაიონებში

ჭიათურა

13 დეკემბერს ჭიათურის რაიპარტკომის კულტპროპგანყოფილებაში შესდგა თათბირი რაიონში ლიტერატურულ მუშაობის გაშლის საკითხებზე. თათბირს ესწრებოდნენ რაიაღმასკომების, განათლების განყოფილების, რაიპროფსაბჭოს, კულტსექტორის, კომკავშირის რაიკომის მუშათა კლუბების, თეატრის, გაზ. „ჭიათურელი მაღაროელი"-ს რედაქციის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

რაიონში ლიტმუშაობის გაშლის ფორმების შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა საქ. საბჭოთა მწერლობის კავშირის მდივანმა ამხ. **ბეს. ჟღენტმა.**

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილე ამხანაგები (კალანდაძე, ჩიჩიბაია, ლანჩავა, ენუქიძე და სხვ.) აღნიშნავდენ, რომ ჭიათურის რაიონში, როგორც საქართველოს ერთ-ერთ ძირითად სამრეწველო რაიონში, ლიტერატურულ მუშაობისათვის უზრუნველყოფილია ყოველგვარი პირობები. მუშები, ადგილობრივი მშრომელი ინტელიგენცია და პროლეტარული ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურულ საკითხებისადმი. არიან დამწყები მწერლები მუშებსა და კომკავშირულ ახალგაზრდობას შორის. მიუხედავად ამისა რაიონში თითქმის არაფერი კეთდება ლიტერატურულ საქმიანობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. არ იმართება ლიტსალამოები, მოხსენებები; არ არსებობს ლიტ-წრეები და არ ეწევა ხელმძღვანელობა და დახმარება დამწყებ მუშებს. გაზ. „ჭიათურის მაღაროელი"-ს რედაქციამ გამოიჩინა ერთგვარი ინიციატივა ამ საქმეში.

საქ. პრ. მწერ. ასოციაციამ და საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციამ არ მიაქცია სათანადო ყურადღება ჭიათურის რაიონში ლიტ მუშაობის გაშლას. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მხოლოდ დაპირებებით აკმაყოფილებენ ჭიათურის რაიონის ხელმძღვანელ ორგანიზაციათა მოთხოვნასო, მაგრამ ამ დაპირებათა რეალიზაციისათვის არაფერს აკეთებენ.

თათბირმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც რაიპარტკომთან არსდება კომისია რაიონში ლიტერატურული მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად და ამ საქმისათვის სისტემატიურ ხელმძღვანელობის გასაწევად. კომისიაში შევიან რაიპარტკომის, კომკავშირის, რაიკომის, რაიპროფსაბჭოს. განათლების განყოფილების და გაზეთის რედაქციის წარმომადგენლები. გაზ. „ჭიათურის მაღაროელთან" ჩამოყალიბდა ცენტრალური ლიტწრე, რომელიც გააერთიანებს დამწყებ მწერლებს და ქალაქის საწარმოთა დამკვრელ მუშებს რეგულიარულ სასწავლო - შემოქმედებითი მუშაობის საწარმოებლად. ჭიათურის ძირითად საწარმოებში (პერევის, შუქრუთის და მღვიმევის) ჩამოყალიბდა მუშათა ლიტ-წრეები. რაიპროფსაბჭოს დაევალა უზრუნველყონ ამ წრეების მუშაობისათვის ყოველგვარი პირობები. ცენტრალურ წრის ხელმძღვანელად თათბირმა გამოყო ამხ. ვალ. ლუარსაბიშვილი და ვ. ჩიჩიბაია.

თათბირმა დაადგინა ჭიათურის მუშათა კლუბში და აგრეთვე საწარმოთა კლუბებში სისტემატიურად მოეწყოს ლიტსალამოები, მოხსენებები და დისპუტები. გაზ. „ჭიათურის მაღაროელმა" უნდა გამოსცეს პერიოდული ლიტერატურული ფურცელი.

თათბირმა დაადგინა მიმართოს საქ. საბჭოთა მწერლობის კავშირს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ჭიათურის პლენუმზე მეთოდიურ - საპროპაგანდო ხელმძღვანელობა და აგრეთვე სისტემატიურად, თვეში ერთხელ მაინც იქნას მივლინებული ჭიათურაში მწერლები, მოხსენებებისა თუ სხვა სახის ლიტგამოსვლების მოსაწყობად.

14 დეკემბერს ჭიათურის მუშათა ცენტრალურ კლუბში ამხანაგმა ბესო ჟღენტმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ქართული მწერლობა ახალ ეტაპზე". მომხსენებელმა გაარკვია საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილების გამომწვევი მიზეზები, ამ დადგენილების აზრი და მნიშვნელობა; დაახასიათა ამ დადგენილების რეალიზაციისათვის წარმოებული მუშაობა საქართველოში და ვრცლად შეეხო ლიტერატურულ ფრონტის მდგომარეობას ამ ახალ ეტაპზე.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, კამათში გამოსული ამხანაგები (ვ. ჩიჩიბაიამ და კენჭოშვილმა და სხვ.) ეხებოდენ რა მომხსენებლის მიერ დაყენებულ საკითხებს, სურვილს გამოსთქვამდენ, რომ ასეთი მოხსენებები ჭიათურის რაიონში სისტემატიურად იმართებოდეს და საერთოდ რაიონში [illegible] ლიტერატურული მუშაობა [illegible]

ახალი კადრებისათვის

ლიტერატურულ შემოქმედებითი წრეების საშუალებით, ჩვენს პროლეტარულ ლიტერატურას უნდა შევმატოთ ახალი კადრები სოციალისტურ საწარმოებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან— იმ დამკვრელთა რიგიდან, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს, წარმატებით ააშენებენ უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას მეორე ხუთწლედში. გადაჭრით შეიძლება განვაცხადოთ, რომ საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის ძველი ხელმძღვანელობის მიერ ლიტერატურაში დამკვრელთა გაწვევა ოპორტუნისტულად იყო შეფასებული, მაგრამ შედარებით თუ თბილისში ამ საქმისათვის რამოდენიმე შემოქმედებითი ლიტ-წრეები არსებობდა, (თუმცა მათ მუშაობას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი), რაიონებში ეს საქმე სრულებით მივიწყებული იყო.

მოვიყვანოთ რამოდენიმე ფაქტი სიღნაღის რაიონიდან. უდავოა საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად სიღნაღის რაიონის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის დარგში.

—საკავშირო მნიშვნელობის საწარმოო— შირაქის ნავთი, საქართველოს ხორბლეულის უდიდესი გიგანტი — შირაქის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც პროლეტარულ სახელმწიფოს უნდა მისცეს 2 მილიონი ფუთი საბჭოთა პური, მესაქონლეობის მძლავრი საბჭოთა მეურნეობა „ელდარი" 55.000 სული ცხვარით, ბამბის და რამის საბჭოთა მეურნეობები, საქართველოში უძლიერესი — ზ. ქედის, ქვ. ქედის, არხილოს კალოს კომუნები, კოლმეურნეობები და სხვა მნიშვნელოვანი საწარმოები — აი, რაიონის მშრომელ მოსახლეობის სიამაყე, ლენინური პარტიის, ლენინურ პოლიტიკის გამარჯვების უტყუარი მაჩვენებლები თვით მშრომელთა დაუშრეტელ ენერგიის შედეგ[illegible]

ყველა ეს გადაჭრით სვამდა ახალ[illegible] წინაშე ლიტერატურულ - შემოქ[illegible] წრეების ჩამოყალიბების საკითხ[illegible], ხელმძღვანელობის ყურადღებ[illegible] მოუცილდა რაიონში ლიტერატურ[illegible] მედებითი მუშაობის გაშლის საქ[illegible] რიგად სოციალისტური შენებლო[illegible]

სიღნაღის ლიტწრეში

ამხ. დ. მჭედლიშვილი პირველ მეცადინეობაზე



—სიწყნარე ამხანაგებო! ამხ. გრონსკიმ სთქვა, რომ პატივისცემაა ურთიერთ შორის საჭირო

ლიტფრონტებზე ; გრანდიოზულ ხუთწლედის მიღწევებმა სიღნაღის რაიონში ვერ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება პროლეტარულ მხატვრულ ლიტერატურაში — მხატვრულ ტილოებზე.

მდგომარეობა ამჟამად არსებითად შეიცვალა, და კიდევ უფრო უნდა შეიცვალოს.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის დახმარებით და მის წარმომადგენლის ამხ. გიორგი ნატროშვილის ხელმძღვანელობით რაიონულ გაზ. „კოლმეურნე"-სთან დაარსდა ლიტერატურულ - შემოქმედებითი წრე, რომელიც ამჟამად უკვე აერთიანებს 25 წევრს.

წრ.ის პირველი და საჯარო სხდომა სიღნაღის კოლექტივთან ერთად ჩატარდა 13 დეკემბერს.

წრის წევრების იდეოლოგიურ დონის და [illegible]ლიტერატურულ - შემოქმედებითი მუშაობის გაშლისათვის გაზ. „კოლმეურნე"-ს [illegible] ფურცელზე თვეში ერთხელ გამოცემული „ლიტერატურული ფურცელი", გარ[illegible] განზრახულია საქართველოს საბჭ. [illegible] 12 წლის თავზე გამოშვებული იქნეს მხატვრული ნაწარმოების კრებული — სიღნაღის რაიონში 12 წლის განმავლობაში მოპოვებულ მიღწევების და მომავალ პერსპექტივების შესახებ მეორე ხუთწლედში.

ლიტერატურულ - შემოქმედებითი მუშაობის გაშლის და მწერლობაში დამკვრელთა გაწვევისათვის სიღნაღის რაიონში არსებული პირობები მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული. ლიტერატურულ - შემოქმედებითი წრემ მთლიანად უნდა გაამართლოს თავისი დანიშნულებები. ლიტერატურულ წრემ მუშაობის სწორი ორგანიზაციით, საბჭოთა მწერალთა კავშირის დახმარებით, უშუალო კონკრეტული ხელმძღვანელობით უნდა აღიზარდოს პროლეტმწერალთა ახალი კადრები საკავშირო მნიშვნელობის წარმოება—შირაქის ნავთის საწარმოებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან.

საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან სისტემატიურად უნდა იქნეს მოწყობილი ლიტერატურულ-შემოქმედებითი სალამოები, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ პროლეტმწერალთა მომავალ კადრებმა

ეს წრე უნდა იქნეს მძლავრ ლიტერატურულ ორგანიზაციად, რომელმაც შირაქის საბჭოთა მეურნეობაში, შესაფერ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტივებში უნდა ჩამოაყალიბოს ლიტერატურული უჯრედები. იმავე ორგანიზაციამ სისტემატიური და კონკრეტული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ამ უჯრედების მუშაობას.

დ. მჭედლიშვილი

ახალი ლიტწრეები

მაუდის ფაბრიკასთან

თბილისის მაუდის ფაბრიკასთან 27 დეკემბერს ჩამოყალიბდა სალიტერატურო წრე, წრის ხელმძღვანელად გამოყოფილია ამხ. **ალ. სულავა.**

აზრიუმის საქსოვ ფაბრიკასთან

აზრიუმის საქსოვ ფაბრიკასთან ჩამოყალიბდა სალიტერატურო წრე. წრის ხელმძღვანელია—ამხ. [illegible]როშვილი.